# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 15 თებერვალი 2003 №25 (1796) | ფასი 50 თეთრი


# ხელები მაღლა!





ვინც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გუშინდელი, მეშვიდე ყრილობისგან სასიკეთოს არაფერს ელოდა, გუმანმა არ უმტყუნა, ხოლო ვისაც გარდატეხისა სჯეროდა, მეტისმეტად გულუბრყვილო ყოფილა. რა გარდატეხასა და წინსვლაზეა ლაპარაკი, როცა, სხვა რომ არაფერი, ქართული ფეხბურთის მესვეურებს... ოცდასამამდე თვლა არ შეუძლიათ. უფრო სწორად კი, ჩვიდმეტს ოცდაერთად ასაღებენ, ოცდაერთს კი ოცდასამად...

გენერალური მდივანი ახალარჩეულ ალმასკომს უნდა აერჩია, მაგრამ ვალერი ჩოლარია ამ თანამდებობაზე ალმასკომის არჩევნებამდე დანიშნეს. ეგ როგორ? როგორ და ეგრე — ჩათვალეთ, რომ გენერალური მდივანი ისევ ჩოლარია არისო, თქვა მერაბ ჟორდანიამ, ყრილობა კი პრეზიდენტის სურვილს მორჩილად დამორჩილდა.

გადაწყვეტილი იყო, რომ ახალი ალმასკომი 17-კაციანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ უცაბედად აღმოჩნდა, რომ 17 ოცდაერთად ქცეულა. ეგ როგორ? როგორ და ეგრე — მერაბ ჟორდანიას ყრილობის წინა დღეს უფიქრია და ასე ჩაუთვლია საჭიროდ. უეფას რეკომენდაციით ალმასკომის წევრთა რაოდენობა თხუთმეტიდან ოცამდე უნდა ყოფილიყო, მაგრამ სადაც ოცი, იქაც ოცდაერთიო, განმარტა პრეზიდენტმა...

არჩევნები დაიწყო: აირჩიეს პირველი, მეორე, მესამე... მაგრამ ოცდაერთს რომ გადასცდა და ოცდასამს უნია, კაცი არ გამოჩნდა, ეკითხა, ეგ როგოროო...

ერთმა კანდიდატმა საკუთარ თავს აცილება მისცა, მეორე, აჭარის წარმომადგენელი, არ გამოცხადდა, პირადი პრობლემები ჰქონია. წესი კი კანდიდატს არჩევნებზე ყოფნას ავალდებულებს. ჟორდანიამ იოლი გამოსავალი იპოვა, ალმასკომის უახლოეს სხდომას ბათუმში ჩავატარებთ და დარჩენილ ვაკანსიებსაც იქ შევავსებთო. ეგ როგორ? ალმასკომის წევრს ალმასკომი ირჩევს თუ ყრილობა?

ამის მერე დაიჯერე, რომ ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილი არ იყო. საერთოდ რატომ ჩატარდა ყრილობა, ფორმალობისთვის? ხალხისთვის თვალის ასახვევად? თუ ასეა, თვალის ამხვევებადაც არ ვარგებულან ან უბრალოდ საჭიროდ არ ჩათვალეს...

ალმასკომის წევრად აირჩიეს ქვემო ქართლის წარმომადგენელი ლაშა მინდელი, რომელზეც იქაურები ერთხმად ამბობენ, სტადიონზე ფეხი არასდროს შეუდგამსო. და თუ ასეა, რა ესაქმება ასეთ კაცს ალმასკომში? რა და, მე ჟორდანიას მომხრე ვარ — ქვემოქართლელთა პრეტენზიის საპასუხოდ თავად მინდელის ერთადერთი არგუმენტი ეს გახლდათ.

ჰო, ყრილობაზე ფედერაციის ახალი წესდებაც დაამტკიცეს, მაგრამ რა აზრი აქვს, თუკი მასში არავინ ჩაიხედავს და დაიცავს? წესდების პუნქტებს პირნათლად დაიცავენ? დღეის ჩათვლით რომელი წესი და კანონი არ დაურღვევიათ?

ვიღაცას კიდევ უკვირს, ნაკრები და ეროვნული ჩემპიონატი რატომ არ გვივარგაო...



ბორჯღალოსნები ძნელ სეზონს იწყებენ

ევროპის ერთა თასი 2003. პირველი ტური

## პორტუგალია — საქართველო

16 თებერვალი. ლისაბონი. «ნასიონალი». 15 საათი

# გაგვემარჯოს!

## ქართველები პორტუგალიური ღვინით დაილოცნენ

გუშინ საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ლისაბონში ჩაფრინდა, სადაც ხვალ ერთა თასის პირველ ტურში პორტუგალიას დაუპირისპირდება. მატჩი სტადიონ „ნასიონალზე" გაიმართება და პორტუგალიის დროით დილის 11 საათზე, ჩვენი დროით კი დღის 3 საათზე დაიწყება. ვისაც ხელი მიუწვდება, პორტუგალიური არხის **PTR**-ის საშუალებით მატჩის პირდაპირი რეპორტაჟის ხილვა შეეძლება.

ლისაბონში ჩვენები სამვარსკვლავიან სასტუმრო „ამაზონიაში" დაბინავდნენ, რომელიც „ნასიონალიდან" სულ რაღაც 5 წუთის სავალზეა. გუშინვე, ნავახშმევს ბორჯღალოსნებმა „ნასიონალის" სათადარიგო მოედანზე ივარჯიშეს. დღეს საღამოს კი მატჩის ალაგს შეაჩვევენ ფეხს. გუშინ გუნდთან ვერ იყო ბესიკ ხამაშურიძე, რომელსაც ოჯახური პრობლემები შეექმნა და თავისიანებს დღეს შეუერთდება.

— ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. აეროპორტში პორტუგალიის რაგბის კავშირის წარმომადგენლები დაგვხვდნენ და სასტუმროში მოგვაწყვეს. ერთი მათგანი ახლაც ჩვენთანაა და ყურადღებას გვაქცევს. ნორმალური სასტუმროა, მწვანეშია ჩაფლული და ირგვლივ სიმყუდროვეა. სასტუმროს გვერდით კომპლექსია, აუზით, საუნით, ჯაკუზით და ტრენაჟორებით. ვახშამზე აქაური წითელი ღვინო პორტოც გავსინჯეთ, ცხადია, მცირე დოზით — გვითხრა ბორჯღალოსანთა კაპიტანმა ილია ზედგინიძემ, ლისაბონში რომ შევეხმიანეთ.

**— ის, რომ მატჩი პორტუგალიის დროით დილის თერთმეტ საათზე დაიწყება, ხელს არ შეგიშლით?**

— არა მგონია. ორი დღე საკმარისია ადაპტაციისთვის, ჩვენც ისეთ რეჟიმში ვიქნებით, რომ დილით თამაში არ გაგვიჭირდება.

**— ნამგზავრზე ცხადია, მსუბუქად ივარჯიშებდით.**

— დიახ, ეგრეა, მოვითელეთ. საფუძვლიანად ხვალ დილით ისევ „ნასიონალის" სათადარიგო მოედანზე ვივარჯიშებთ. საღამოს კი ძირითად მოედანზე შევალთ.

**— განწყობა როგორია?**

— მართალია, ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მორაგბე გვაკლია, მაგრამ ყურებს არ ჩამოვყრით. პირიქით, ახლა უნდა დავამტკიცოთ, რომ საკმაო რეზერვი გაგვაჩნია. გამარჯვების დიდი იმედი გვაქვს.

**ბაჩო სვანიძე**

# ტორპედო მაინც ჩემპიონია
## ორბელაძეს რკინიგზელი შავების ეიმედება



**საქართველო — მოლდოვას**
ახალგაზრდულ ნაკრებთა ამხანაგურ მატჩში თბილისური „ლოკომოტივის“ მცველმა სერგო ორბელაძემაც ითამაშა.

ახალგაზრდა რკინიგზელი რევაზ არველაძემ მეორე ტაიმის შუაგულს შეცვლაზე შეიყვანა და მან ორჯერ ჩაშალა მოლდოველთა, ერთი შეხედვით, სახიფათო შეტევა.

სერგო ორბელაძესთან ჩვენი შეხვედრა „ლოკომოტივის“ მოსამზადებელ ეტაპზე მომხდარმა სიახლეებმაც განაპირობა. ლუის ცაკარიასის შეგირდები ხომ უკვე სერიოზულ პრეტენზიას აცხადებენ ქვეყნის ჩემპიონობაზე.

**— მოლდოვასთან მატჩით დავიწყოთ. ბევრი ქართველთა გამარჯვებას ელოდა...**

— ცხადია, მოგება ჩვენც გულით გვსურდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ახალგაზრდულ ნაკრებში ახლა გარკვეული ცვლილებებია და, ალბათ, მალე გულშემატკივრებსაც გავახარებთ.

**— ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პირველად ითამაშეთ...**

— დიახ, პირველი გამოცდა იყო და ძალიან გვინდოდა გამარჯვებით დაგვეწყო. ბოლომდე ვიბრძოლეთ და მეტოქესაც ვაჯობეთ, მაგრამ გოლის გატანა ვერ შევძელით. სამწუხაროა, რომ უპირატესობა ვერ გამოვიყენეთ.

**— რა იყო ამის მიზეზი?**

— ძალიან ცუდმა მინდვრის საფარმა აშკარად ხელი შეგვიშალა. თან, როგორც ზემოთ ვთქვი, პირველად ვითამაშეთ რევაზ არველაძის ხელმძღვანელობით და გუნდის შეკვრას ცოტა დრო კიდევ დასჭირდება.

**— რევაზ არველაძეზე, როგორც მწვრთნელზე, რას იტყვი?**

— დარწმუნებული ვარ, ის შეძლებს კარგი გუნდის გაკეთებას. იმედი მაქვს, ოფიციალურ მატჩებში უკეთესად ვითამაშებთ.

**— ამპლუით ცენტრალური მცველი ხარ, მოლდოვასთან კი მარცხენა ფლანგზე ითამაშე.**

— ეს ჩემთვის პრობლემა არაა. რასაც დამავალებენ, იმას შევასრულებ.

**— „ლოკომოტივზე“ რას იტყვი?**

— ძალიან სერიოზულად ვემზადებით. თურქეთშიც ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ. ამხანაგური მატჩებიც ბლომად ვითამაშეთ და უმეტესობა დადებითი შედეგით დავასრულეთ. ასე რომ, საგაზაფხულო ეტაპს მზად ვხვდებით.

**— ახალწვეულებზეც გვითხარი ორიოდე სიტყვა.**

— ნანა ძალიან ძლიერი თავდამსხმელია. ნიგერიელზეც ვერ ვიტყვი აუგს. ისინი დიდად დაგვეხმარებიან. ამაში დარწმუნებული ვარ.

**— ლუის ცაკარიასი რას ამბობს გუნდის მზადყოფნაზე?**

— ჯერჯერობით მისთვის უკმაყოფილების საბაბი არ მიგვიცია.

**— ქუთაისის „ტორპედომ“ სამი წამყვანი ფეხბურთელი გაასხვისა. ალბათ, ეს თქვენს საჩემპიონო შანსებს გაზრდის...**

— ასე ვერ ვიტყვი. იმ ფეხბურთელებს შემცვლელებიც მოეძებნება. თანაც „ტორპედო“ მაინც ჩემპიონია და იოლად არაფერს დათმობს. ამგვარად, რთული ბრძოლები გველის.

**— ესე იგი, ჩემპიონობისთვის იბრძოლებთ.**

— აუცილებლად! ეს ჩვენი მიზანია და ვეცდებით, შევასრულოთ. ვიცი, რომ კონკურენტებიც სერიოზულად ემზადებიან, მაგრამ „ლოკომოტივი“ არაფერს დათმობს.

**ძახა ზალამბერიძე**

# ნავთლუღში შევარდენი იზრდება



მალხაზ გუგავა

**„შევარდენის“** სტადიონის ხასხასა ბალახი თავის დროზე არაერთ სახელიან გუნდს მოუთელავს. იქ უვარჯიშიათ გერმანიისა და იტალიის ეროვნულ ნაკრებებს, უფრო ადრე, საბჭოეთის ხანაში, „დინამოს“ დუბლშემადგენლობა აგორებდა ბურთს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები საშინაო მატჩების უმეტესობას „შევარდენზე“ ატარებდა, იქ საფეხბურთო კლუბიც არსებობდა.

გამოხდა ხანი, ჩვენში ბევრი რამ დაინგრა და მოისპო, ნავთლუღის საფეხბურთო კომპლექსი კი არ გახუნებულა. დღეს იქ ბავშვთა საფეხბურთო კლუბი „შევარდენი 1906“ ფრთიანდება.

კლუბის პრეზიდენტმა მალხაზ გუგავამ და ვიცე-პრეზიდენტმა ანზორ მანწკავამ ისტორიის დანატოვარი შეინარჩუნეს, თან შენება აგურ-აგურ გააგრძელეს და დღევანდელობამდეც წარმატებებით მოვიდნენ.

სადღეისოდ შევარდენს ერთი სტანდარტული ბალახის საფარიანი მოედანი აქვს, ორიც ისეთი, სტანდარტებს ოდნავ რომ ჩამორჩება. კეთილმოწყობილი გასახდელები, საშხაპე-საუნა, საექიმო კაბინეტი, ოთახი თეორიული მეცადინეობისთვის და ვიდეოაპარატურაც ამშვენებს იქაურობას.

ცხელი წყლის პრობლემა რომ გადაჭრილიყო, ხელმძღვანელებმა საველე აბანო შეიძინეს, რომელსაც შეშით ახურებენ და საათში ტონა-ნახევარ ობილ წყალს იძლევა. თანდათან ტრენაჟორებიც დაამზადეს და დაამონტაჟეს, ტექნიკური ბაზა რომ მოწესრიგდა, კლუბმა შედეგიც მალევე მოიმკო.

გოგი იაშვილის 1988 წელს დაბადებულმა ბიჭებმა ქალაქის პირველობა მოიგეს, ხოლო ვიტალი დარასელიას თასის გათამაშებაში, რომელიც ფაქტობრივად, საქართველოს ჩემპიონატიცაა, მხოლოდ თანაქალაქელ „მარდის“ დაეჩაგვრინნენ.

ვაჟა ხუბეჯიშვილის ერთი წლით უმცროსებმა თბილისის პირველობაზე იმარჯვეს, რევაზ წერეთლის 1990-იანებმა ჯერ მესამე ადგილი, ხოლო შემდეგ ჩემპიონობა ირგუნეს.

ვახტანგ ჩიმაკაძის და სოსო კირთაძის 11 წლის ბიჭებმა დედაქალაქის ჩემპიონატში მეორე, ხოლო „ბენდელას თასზე“ მესამე ადგილი დაისაკუთრეს.

კლუბში მუშაობს მეკარეების მწვრთნელი ლევან აბაშიძე, რომლის გაწვრთნილი კობახიძე და ბუბუტეიშვილი საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრების მეკარეები არიან.

კლუბის ტექნიკურ დირექტორ რომან შონიას თქმით, „შევარდენში“ დასაქმებული ყველა მწვრთნელი ფეხბურთის ფედერაციის მოწყობილი პროგრეს-კურსების მსმენელი იყო და შესაბამისი ლიცენზიებიც გააჩნიათ.

შევარდენელები დღეს სხვადასხვა საფეხბურთო კლუბში ოსტატდებიან. ოთხი ახალგაზრდა „დინამოშია“, ოთხიც „ლოკომოტივშია“, „ვიტ ჯორჯიას“ თერთმეტი მოთამაშე წაუყვანია, პირველლიგელ „მცხეთას“ სამი, ხოლო რეგიონული ლიგის „ყაზბეგს“ — ერთი.

„შევარდენიდან“ ახალგაზრდა ფეხბურთელები ევროპაშიც გაჭრილან. კასპელაშვილი საბერძნეთში ბურთაობს, ხუბუა ბულგარეთში, ეპიტაშვილი ბელგიაში მოეწყო, ხოლო კვიციანი — რუსეთში.

ჯერჯერობით კლუბს მათ სანაცვლოდ კომპენსაცია არ მიუღია, თუმც კონტრაქტში გარკვევით წერია, რომ იმ ფეხბურთელების შემდგომი ტრანსფერიდან ათი პროცენტი „შევარდენსაც“ ერგება.

სადღეისოდ ნავთლუღში სხვადასხვა ასაკის 10 ჯგუფი, საშუალოდ 150-200 ბავშვი ვარჯიშობს. ბევრი სიკეთის მიუხედავად, კლუბს ფინანსურად მაინცდამაინც არ ულხინს და პარტნიორსაც ხშირად დაეძებს. ბოლო დროს „შევარდენი“ შეხმატკბილებულად თანამშრომლობს „ვიტ ჯორჯიასთან“. ვეტერინარები ჩემპიონატის საშინაო მატჩებს ნავთლუღში ატარებენ. იქაური ბაზის გამოყენებით კი ნოდარ აკობია 1986-87 წლებში დაბადებულ ბიჭებს ავარჯიშებს, რომელსაც „ვიტ ჯორჯია-შევარდენი“ ეწოდება. მალე ალბათ ერთი წლით უმცროსი ასაკის გუნდიც ჩამოყალიბდება.

**მამუკა ძგანტალიანი**



„შევარდენზე“ დღესაც სანაქებო ბალახია...

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის X შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები



დებიუტანტმა ალან კუსოვმა (ბურთით) თავი საგოლე პასით გამოიჩინა

# რუსებმა ითამაშეს, რუმინელებმა იტამაშეს

**რუსეთი**

**რუსეთი 4:2 რუმინეთი**

**0:1 ტამაში (13), 1:1 შაოვა (31ს.კ.), 2:1 კარიაკა (34), 3:1 არშავინი (41), 4:1 გუსევი (59პ), 4:2 გრიგორე (70პ)**

**რუსეთი: ოვჩინიკოვი, ნიჟეგოროდოვი, ა. ბერეზუცკი, ალდონინი, ევსიკოვი, კუსოვი (იანოვსკი 72), კარიაკა, გუსევი, სოლომატინი, არშავინი (ლოსკოვი 60), კერჟაკოვი (კირიჩენკო 46)**

**მწვრთნელი: ვალერი გაზაევი**

**მსაჯი: ლოიზუ (კვიპროსი)**

**500 მაყურებელი**

**რუსეთის ნაკრებმა** კვიპროსის ოთხთა ტურნირის ფინალური მატჩიც მოიგო. ევრო 2004-ის მეათე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქემ ვალერი გაზაევის ხელში მეხუთედ ითამაშა და ჯერაც დაუმარცხებელია. აქედან რუსებმა ოთხჯერ იმარჯვეს და ერთხელაც ფრეს დასჯერდნენ. ფრედ „დაასრულეს“ საქართველოსთან თბილისური ნახევარმატჩიც.

საინტერესოა ისიც, რომ რუსეთის ნაკრები გაზაევმა აშკარად შემტევ სტილზე გადააწყო და შედეგად უკვე მესამე მატჩია, ოთხ გოლზე ნაკლები არ გააქვს.

ასე იყო გუშინწინდელ ჯახშიც. კვიპროსის ოთხთა ტურნირის ფინალში გაზაევის სამწყსომ 4:2 სძლია ჩვენს ოდინდელ შემარცხვენელ რუმინეთს. თუმც ისიც სათქმელია, რომ კარპატელებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი აკლდათ. უძლიერესი შემადგენლობით ვერც რუსები დაიკვეხნიდნენ, მაგრამ არმიელმა როლან გუსევმა თანაგუნდელებს ეს არ დაატყო. ის გუნდის სული და გული იყო, ყველა შეტევას თავობდა და ერთი გოლიც გაიტანა. ცხადია, გუსევი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს.

თავიდან რუმინელები ტამაშის გოლით დაწინაურდნენ, რასაც ისევ რუმინელთა გოლი მოჰყვა, თუმც შაოვას მისამართი შეეშალა და საკუთარი კარი დალაშქრა — 1:1.

სამ წუთში ანდრეი კარიაკამ დააწინაურა რუსები როლან გუსევის პასით, ხოლო ტაიმის მიწურულს ალან კუსოვმა მიართვა საგოლე პასი დმიტრი არშავინს და გუნდებიც შესვენებაზე ამ ანგარიშით გავიდნენ.

მეორე ტაიმში რუსებს შეტევა არ შეუწყვეტიათ. ვალერი გაზაევმა კვლავაც მეტოქის კარზე დაგეშა შეგირდები, თუმც ერთზე მეტი გოლის გატანა ველარ შეძლეს. მატჩის დასრულებამდე ოცი წუთით ადრე გრიგორემ პენალტით უპასუხა გუსევს და საბოლოოდ რუსებმა ის თასი აწიეს, ორი წლის წინ სწორედ რუმინეთმა რომ წაჰგვარა საქართველოს ნაკრებს.

*ვალერი გაზაევი:* ჩემი ბიჭების თამაშით კმაყოფილი ვარ. ეს ტურნირი ალბანეთთან ოფიციალურ მატჩამდე ჩვენთვის ბოლო იყო და საკმაოდ ნაყოფიერიც გამოდგა. ძალიან მომეწონა დებიუტანტებიც. მათ მომავალშიც აუცილებლად მივცემ შანსს.

*ანგელ იორდანესკუ:* ვულოცავ მეტოქეს ღირსეულ გამარჯვებას. რუსების თამაშით აღფრთოვანებული დავრჩი. ვალერი გაზაევს ძალიან მობილური და შემტევი გუნდი ჰყავს. რუსები ყველაფერს ჩვენზე სწრაფად აკეთებდნენ.

**ძახა ზალამბერიძე**

# ნუ იოცნებებთ ფავორიტობაზე
## არწივები დაგგლეჯენ

**ალბანეთი**

**ალბანეთი 5:0 ვიეტნამი (ახ.)**

**1:0 ბუში (16), 2:0, 3:0 მურტაი (21, 38), 4:0 დრაგუშა (52), 5:0 პინარი (86)**

**ალბანეთი: სტრაკოშა (ბექაი 46), ბეჩირი, ჯუმბა (დედე 46), ა. დურო, ჰაჯი (მურატი 46), ჰასი (პინარი 50), ბელაი, ბრაგუშა (აპმატაი 70), შკემბი, ბუში, მურტაი (დობი 72)**

**მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ბრიგელი**

**მსაჯი: ნიკოლუზი (იტალია)**

**2 000 მაყურებელი**

**იტალიურ** ქალაქ ბასტია უმბრიაში ალბანეთის ნაკრებმა ვიეტნამის ახალგაზრდული ნაკრები ჩაიგდო ხელთ და 5:0 დაიბრიყვა. იგლი ტარესა და ერიონ ბოგდანის გარეშე მოთამაშე ალბანელებს იტალიური სერია C-ს „ჩეზენას“ თავდამსხმელმა მურტაიმ ულიდერა. გერმანელი ჰანს-პეტერ ბრიგელის შეგირდებმა პირველივე ტაიმში მოუგრიხეს კისერი მეტოქეს — ბუშმა და მურტაიმ (ორჯერ) სამბურთიანი უპირატესობა დააფიქსირეს. მეორე ორმოცდახუთ წუთში ამას დრაგუშამ და პინარიმ ორიც დაუმატეს.

ნამატჩევს ალბანელი „არწივების“ თავკაცი *ჰანს-პეტერ ბრიგელი* კმაყოფილი კი იყო, მაგრამ მომავლის რეალურად შეფასების უნარი სულაც არ დაუკარგავს:

— ევროპის 2004 წლის შესარჩევი ჯგუფიდან გასვლაზე ლაპარაკიც არ ღირს. ეს ფანტასტიკის სფერო უფროა. თუმც ფეხის ფეხზე გადადებასაც არ ვაპირებთ. ჯგუფის ფავორიტებს სისხლს გავუშრობთ.

**ძახა ზალამბერიძე**

# ქართული ფეხბურთი საიმედო ხელშია(ტაში)

## ყრილობის არითმეტიკა 2X2=5



გალერი ჩოლარია მერაბ ჟორდანიას კიდევ ოთხი წლით დაუმშვენებს მხარს

*მრავალჯერ ნანახი ფილმივით ჩაიარა „შერატონში" გუშინ გამართულმა სფფ-ის მეშვიდე ყრილობამ.*

*ფიფა-უეფასა და იუსტიციის სამინისტროს რეკომენდაციებით შეკრებული ფედერაციის ახალი წესდება საათნახევარში დამტკიცდა. მიუხედავად იმისა, რომ მისხალ-მისხალ დაგეგმილ-ჩაწიკწიკებული სამუშაო დროის დიდი ნაწილი გაუთვალისწინებელმა აყალმაყალმა წაიღო, ფინალი ნაცნობ-ქართული გამოდგა – კრება დარჩა მხიარული*

**გუშინდელ** ყრილობაზე მერაბ ჟორდანიამ მოულოდნელად აღმასკომის წევრობის 17-კაციანი რაოდენობა 21-მდე გაზარდა. ახალარჩეულ აღმასკომში პრეზიდენტმა სამივე ვიცე-პრეზიდენტი — ალექსანდრე ჩივაძე, რომან შოთაძე და ლერი სულაბერიძე გაიყვანა. აღმასკომის შემადგენლობის გაზრდის გადაწყვეტილება გუშინ დამოუკიდებლად მივიღე. ფიფა-უეფას რეკომენდაციით რაოდენობა თხუთმეტიდან ოცამდე უნდა ყოფილიყო. სადაც ოცი, იქ ოცდაერთიო — გვითხრა ამასთან დაკავშირებით ყრილობის შემდეგ ჟორდანიამ.

საქართველოს პრეზიდენტივით უალტერნატივო ვალერი ჩოლარია კვლავ სფფ-ის გენერალურ მდივნობას გასწევს. გუშინდელ ყრილობაზე ერთობ საეჭვო ვითარებაში გაუგრძელდა ჩოლარიას მანდატი. ახალი წესდების თანახმად, რომელიც ერთხმად დაამტკიცეს დელეგატებმა, გენერალური მდივანი აღმასკომის ახალ შემადგენლობას უნდა აერჩია. ახალარჩეულთა პირველი სხდომა ყრილობის შემდეგ უნდა გამართულიყო და ჩოლარიაც მაშინ გაფორმებულიყო, მაგრამ ნაყრილობევს აღმასკომი აღარ შეკრებილა, ჩოლარია კი მაინც გენერალური მდივანია. ყრილობაზე ჟორდანიამ ჩოლარიას კანდიდატურის მხარდაჭერა მოითხოვა. დელეგატებმა კენჭისყრის გამოუცხადებლად აუნთეს მწვანე პრეზიდენტის თხოვნას, არადა, ზემოთაც ვთქვით, წინასწარი ინფორმაციით, გენერალური მდივნის არჩევა ყრილობის პრეროგატივა არ ყოფილა. ამასთან დაკავშირებით ჟორდანიას კომენტარი ასეთი იყო: „ყველაფერი კანონიერად მოხდა — ჩაითვალეთ, რომ გენერალური მდივანი ისევ ვალერი ჩოლარიაა".

სამანდატო კომისიამ გუშინდელ ყრილობაზე ხმის უფლების მქონე 36 დელეგატი დააფიქსირა ნაცვლად 44-ისა, თუმც რვა საქეიფოდ თუ უქეიფოდ მყოფის არყოფნას დიდად არც შეუშლია ხელი ყრილობის მუშაობისთვის.

აღმასკომის წევრების არჩევამდე სადისციპლინო და სააპელაციო კომიტეტების შემადგენლობები დაამტკიცეს.

— ომარ გოგიაშვილს მადლობას ვუხდი, რომ ჩემი თხოვნა ყურად იღო და კვლავაც ძველ თანამდებობაზე დარჩაო — თქვა მერაბ ჟორდანიამ და გოგიაშვილს მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით გაუფორმეს სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარეობა. დელეგატებმა ღია კენჭისყრით დაამტკიცეს კომიტეტის რვა წევრი. ცვლილებები უმნიშვნელოა. დისციპლინარებს ორი ახალი წევრი ჰყავთ — თენგიზ სულაქველიძე და ამირან კაჭახიძე. ვერნი ალფაიძე, გოგი დემეტრაძე, ზურაბ პეტრიაშვილი, ზვიად ღარასელი, გურამ ძაგანია და რეზო ჩილაჩავა აქამდეც სადისციპლინო კომიტეტის წევრები იყვნენ.

სხვა გადაწყვეტილებებისგან განსხვავებით, ერთხმად არ აურჩევიათ სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარე. არჯევან ლომიძის კანდიდატურას დავით პეტრიაშვილმა არ დაუჭირა მხარი. სააპელაციო კომიტეტის წევრებად ბორის სიჭინავა, გივი ჯიშიაშვილი, ვლადიმერ ბარქაია, რეზო შენგელია, ილია რუხაძე და ილია მჭედლიშვილი დაამტკიცეს. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი გუშინდელ სხდომაზე ერთადერთი იყო, სფფ-ის წინა ექვსივე ყრილობის მუშაობაში რომ მიუღია მონაწილეობა.

დღის წესრიგის მომდევნო საკითხი აუდიტის არჩევა იყო. აქაც მალევე მოილიეს საქმე. ჟორდანიამ ვაკანსიაზე აუდიტორული ფირმა ჯსს წარადგინა. ფირმის ხელმძღვანელმა ლევან ლეკიშვილმა თქვა, აუდიტორული ფირმების საერთაშორისო კომიტეტის წევრი ვართ, ექვსწლიანი გამოცდილება გვიმაგრებს ზურგს და სფფ-ს ჩვენს მოვუტანთო. დელეგატებმაც არ დაიზარეს მწვანე მანდატების აწევა და საქმეც მოგვარდა — სფფ-ჯსს-ს ერთწლიანი შეთანხმება შედგა.

სწორედ ამ საკითხის მოლევის შემდეგ დაიწყო ახალი აღმასკომის დაკომპლექტება. ჟორდანიამ ძველ შემადგენლობას მადლობა გადაუხადა და უპრობლემოდ გაიყვანა თავისი კანდიდატები. პრეზიდენტის ფავორიტთაგან ოთარ ჭითანავამ მოხსნა კანდიდატურა. თითქმის ათი წელია, აღმასკომის წევრი ვარ, შემდგომში სხვამ გააგრძელოს ჩემი საქმე, მით უმეტეს, რომ სამეგრელო-სვანეთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტიც აღარ ვარო. არავის უცდია, ჭითანავასთვის გადაწყვეტილება შეეცვლევინებინა და სამეგრელო-სვანეთისა და აჭარის რეგიონული ფედერაციების წარმომადგენელთათვის ორი ადგილი დარჩა აღმასკომში. აჭარიდან ნოდარ დიასამიძე უნდა ჩამოსულიყო, მაგრამ მას პირადი პრობლემები ჰქონია, ყრილობას კი ახალმიღებული წესდება უკრძალავდა დაუსწრებლად ვინმეს დამტკიცებას. ამიტომ ჟორდანიამ გამოსავალი იპოვა. აღმასკომის უახლესი სხდომა ბათუმში ჩავატაროთ და დარჩენილი ორი ვაკანსიაც მაშინ შევავსოთო.

ახალი აღმასკომი ასეთი შემადგენლობისაა: *მერაბ ჟორდანია, ვალერი ჩოლარია, ალექსანდრე ჩივაძე, რომან შოთაძე, ლერი სულაბერიძე, მურად ანჯაფარიძე, ვლადიმერ ელოშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ნუკრი კაკილაშვილი, გოჩა როსტომაშვილი, გურამ რუხაძე, დავით პეტრიაშვილი, გურამ ქარქაშაძე, მიხეილ ქორქია, ტარიელ ღვაბერიძე, გივი შუღაროვი, დურმიშხან ჩხაიძე, ვლადიმერ გუცაევი, ნიკა ღოღიძე, გელა ჩხეიძე, ლაშა მინდელი.*

ზემოთ 21 წევრი ჩამოვთვალეთ. პარადოქსიც ეს არის, თუკი ამათ აჭარას და სამეგრელო-სვანეთის წარმომადგენლებს დავუმატებთ, გამოცხადებული 17 კაციანი და ბოლო წამს ოცდაერთამდე გაზრდილი აღმასკომი 23 კაციანი გამოდის. უცნაურია, მაგრამ ამ ფაქტისთვის გუშინდელ ყრილობაზე არავის მიუქცევია ყურადღება.

ახალარჩეულ აღმასკომშია ქვემო ქართლის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტი ლაშა მინდელიც. სწორედ ამ ფაქტმა მისცა გუშინდელ ყრილობას სკანდალური ელფერი. ვითარება ბოლნისის გამგებლის ზურაბ ჯაფარიძის გამოსვლამ დაძაბა.

„აღმასკომის წევრი ისეთი ადამიანი უნდა იყოს, ვინც ფეხბურთს ემსახურება. სამწუხაროდ, ყრილობას ზოგიერთი ისეთი პიროვნება ესწრება, აღმასკომში კი არა, ამ დარბაზშიც არ უნდა იყოს. ერთ-ერთი მათგანი ლაშა მინდელია. ამ კაცს ხელის შეშლის მეტი არაფერი გაუკეთებია ფეხბურთისთვის. ქვემო ქართლის რეგიონიდან რუსთავი და ბოლნისია წარმოდგენილი უმაღლეს ლიგაში. ადგეს მინდელი და იქვას, რომელიმე გუნდის ერთ თამაშს თუ დასწრებია. ბოლნისზე რა უნდა ვთქვა. ეს კაცი რუსთავის მერი იყო და მაშინაც არ ესწრებოდა „გორდას" მატჩებს. გუნდის დახმარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ქვემო ქართლის ფეხბურთის ფედერაციას საალმასკომო კანდიდატები თავის კრებაზე უნდა დაესახელებინა. ეს კრებაც არ ჩაუტარებია მინდელს, ისე წარადგინა მხოლოდ თავის კანდიდატურა. მადნეულის კომბინატიდან „სიონისთვის" ყოველწლიურად 100 ათასი ლარი მქონდა მოზიდული. მინდელი ახტა და დახტა, ჯაფარიძე ფულს აკეთებსო. შედეგად, მადნეული „სიონისთვის" სასიცოცხლო ამ რესურსს გვიწყვეტს. ეს გააკეთა მინდელმა. ბეჰემოთებს უშენებს გალიებს რუსთავში და მშიერ-მწყურვალი გუნდისთვის ვერ მიუხედავს. ასეთ კაცს ირჩევთ დღეს აღმასკომში? ასეთი ხალხი ფეხბურთიდან ასალაგმია". აი, ეს თქვა ჯაფარიძემ. ბოლნისის გამგებელს არაერთხელ შეაწყვეტინა სიტყვა ვალერი ჩოლარიამ, ეს საქმე ყრილობაზე გასარჩევი არ არისო. მართალიც იქნებოდა გენერალური მდივანი, თავის დროზე ამასთან დაკავშირებული ბოლნისელთა საჩივარი რომ განეხილა.

მინდელს უპასუხოდ არ დაუტოვებია ჯაფარიძის გამოსვლა, ჩვენი დაპირისპირება იმიტომ მოხდა, რომ, ჯაფარიძისგან განსხვავებით, არჩევნებზე კაცურად მოვიქეცი, ვისაც დავპირდი ხმის მიცემას, იმას მივეციო. მინდელის ეს კომენტარი თავის მართლებისთვის ერთობ სუსტი იყო, სამაგიეროდ, ეფექტური მინიშნება გახლდათ ჟორდანიასთვის — მე თუ მხარი დაგიჭირე, ნურც შენ გამწირავო. მიუხედავად იმისა, რომ მინდელის საფეხბურთო მოღვაწეობაზე რუსთავის „გორდას" პრეზიდენტმა სერგო ბუილიშვილმაც ეჭვი შეიტანა, დელეგატებმა მაინც დაამტკიცეს მინდელის კანდიდატურა. არადა, ყრილობის შემდეგ თითქმის ყველა ერთსულოვანი იყო ჩვენთან საუბარში — ჯაფარიძე გაცილებით მეტს აკეთებს ფეხბურთის განვითარებისთვის, ვიდრე მინდელიო...

საკვირველია? საქართველოა!..

**პაატა ძმანტალიანი**







ზურაბ ჯაფარიძე და ლაშა მინდელი

გიო ახვლედიანის

სვეტი

## სარგებელი

ახლა ისეთი გვიჭირავს, რომ ამხანაგურ თამაშში ჩვენი ვარსკვლავების გამოძახება საჭირო სულაც არ არის. ცალკე მათი შეწუხება არ არის აუცილებელი, ცალკე მათი კლუბებისა, თანაც სეზონური სანაკრებო სათამაშო ლიმიტიც უნდა დავუზოგოთ, რათა წლის ბოლოს მათ გარეშე არ დავრჩეთ. კალენდარი და ელექტროენერგიის საქმე ისე გონივრულად მოგვეწყო ევრო–2004-ისთვის, რომ ყველაფერი სწორედ წლეულს უნდა გაირკვეს, თუმცა ყველაფერი გარკვეული ჩანს.

ამიტომ, ამხანაგურ თამაშზე ისინი უნდა გამოვიძახოთ, ვინც შეიძლება მხოლოდ წლინახევრის შემდეგ გამოვიძახოთ ამხანაგურ თამაშზე და ისინიც არ უნდა შევაწუხოთ ვარჯიშით: ერთი დღე ეყოფა.

მერე რა?

დღეს ბევრი იქცევა ასე. მაგალითად, სვენ გორან ერიკსონი, რომელმაც მთლად ჩვენებური ვერ გაბედა და თავისი ძირითადი გუნდი ერთ ტაიმს მაინც ათამაშა, თუმცა, გუნდმა არ ითამაშა და ხალხი თერთმეტივე კაცის შეცვლას ტაშით შეხვდა. ამ თამაშს წინ უსწრებდა კლუბების მწვრთნელების ზარები ნაკრების მწვრთნელთან, ბიჭები არ დაგვიტვირთოო.

ინგლისმა საერთოდაც წააგო ავსტრალიელებთან, საქართველომ კი ფრედ ითამაშა მოლდოველებთან.

ჩვენს გამოსაცდელ ნაკრებში ერთგვარი პოტენციალი იგრძნობოდა. საინტერესო ეს არის, თუ სად უნდა გამოიყენონ ეს პოტენციალი ნაკრების ახალწვეულებმა. იმ სამ გადამწყვეტ თამაშში ამ გაზაფხულზე რომ გველოდება?

ნაკრები მთლად ახალბედურიც არ იყო. მაგალითად, რატი ალექსიძემ თამაშის ყველაზე დინამიური წამით დაგვამახსოვრა თავი, მაგრამ რა შეუძლია რატის საჯარიმოში, ეს ჩვენ ძალიან დიდი ხანია ვიცით. მიხეილ აშვეთიამ კარგი გოლი გაიტანა, დათო მუჯირმაც თავი გაგვახსენა — ის დრო, როცა საქართველოს საუკეთესო თინეიჯერი იყო. ეს ყველაფერი გულშემატკივარს დააფიქრებდა და გრძნობებსაც აუშლიდა, მაგრამ საბოლოო ჯამში რა? საინტერესო ეს არის, რა მისცა ნაკრების უფროსობას ამ დათვალიერებამ?

ჩვენსავით ოთხშაბათს ითამაშეს ჩვენი ჯგუფის მეტოქეებმა და არცერთ მათგანს მოუწყვია დათვალიერება და ამხანაგობა. შვეიცარიამ, ირლანდიამ, რუსეთმა, ალბანეთმა ღონივრად მოიგეს.

კი, რა თქმა უნდა, ამხანაგურია, მაგრამ ამხანაგურშიც მოგება გინდა ხოლმე. ჩვენი ნაკრების მწვრთნელი ოდესღაც იმ ნაკრების კაპიტანი იყო, რომელსაც ამხანაგური თამაშების მსოფლიო ჩემპიონს უწოდებდნენ. მოგების გარდა, ამხანაგურიდან სარგებელსაც გამოელი და ოთხშაბათს, „ლოკომოტივზე" ეს სარგებელი ძნელად ჩანდა.

ეს არის და ეს, თორემ ვარსკვლავებს რომ ვერ მოვწყვეტთ ციდან, ისედაც გარკვეულია.

ფეხბურთი კარგი საყურებელია, მით უმეტეს, როცა გოლები გადის. ეზოშიც კი, მშვენიერი თამაშებია, მაგრამ ეზოდან ევროპაში გასვლას არავის სთხოვენ.



პირველი წრის რომაულ მატჩში დაწინაურებულ „მილანს“ ლაციოელმა კლაუდიო ლოპესმა გაუთანაბრა

# იტალია

პაატა კედია

## ზოგი წარსულს ებრძვის, ზოგიც მომავალს

| XXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კიევო | - | ინტერი |
| რომა | - | ბრეშა |
| **ხვალ** | | |
| პიაჩენცა | - | ბოლონია |
| რეჯინა | - | კომო |
| პარმა | - | იუვენტუსი |
| მილანი | - | ლაციო |
| ტორინო | - | მოდენა |
| ემპოლი | - | პერუჯა |
| ატალანტა | - | უდინეზე |

| საქლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 20 | 14 | 3 | 3 | 41:20 | 45 |
| მილანი | 20 | 13 | 3 | 4 | 36:14 | 42 |
| იუვენტუსი | 20 | 12 | 6 | 2 | 36:14 | 42 |
| ლაციო | 20 | 10 | 8 | 2 | 35:19 | 38 |
| კიევო | 20 | 10 | 4 | 6 | 29:19 | 34 |
| უდინეზე | 20 | 9 | 5 | 6 | 21:20 | 32 |
| პარმა | 20 | 8 | 7 | 5 | 35:24 | 31 |
| ბოლონია | 20 | 7 | 7 | 6 | 24:22 | 28 |
| პერუჯა | 20 | 8 | 4 | 8 | 25:26 | 28 |
| რომა | 20 | 7 | 6 | 7 | 32:29 | 27 |
| ემპოლი | 20 | 6 | 5 | 9 | 24:28 | 23 |
| ბრეშა | 20 | 5 | 8 | 7 | 24:28 | 23 |
| ატალანტა | 20 | 5 | 6 | 9 | 23:32 | 21 |
| მოდენა | 20 | 6 | 3 | 11 | 14:29 | 21 |
| რეჯინა | 20 | 5 | 4 | 11 | 18:36 | 19 |
| პიაჩენცა | 20 | 3 | 4 | 13 | 16:34 | 13 |
| კომო | 20 | 1 | 9 | 10 | 13:29 | 12 |
| ტორინო | 20 | 2 | 6 | 12 | 12:35 | 12 |

**მოდი,** ვნახოთ „ინტერი“... „ინტერი“ ვერონაში მიდის მეხუთე ადგილზე მყოფ „კიევოსთან“ სათამაშოდ. შეგახსენებთ: „კიევო“ ის გუნდია, რომელმაც შარშან 5 მაისს „ინტერთან“ შინ 2:2 ითამაშა და ჩემპიონობის ზღურბლთან მდგარმა უმნიშვნელოვანესი ორი ქულა დაჰკარგა.

ახლა, ჩამოვთვალოთ „ინტერის“ დაშავებულები: კრისტიან ვიერი, ემრე, ერნან კრესპო, ფრანჩესკო კოკო და მატიას ალმეიდა.

და ბატისტუტა? — იკითხავთ თქვენ. გაბრიელ ბატისტუტა ხომ წინა შეხვედრაში, რეჯინელი ივან ფრანჩესკინისთვის იდაყვის მირტყმის გამო ორთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯეს? გაირკვა, რომ დასჯილი არგენტინელი საჩივრის შეტანის შემდეგ გაამართლეს.

„ჩვენ გვწამდა, რომ სადისციპლინო კომისია მართალი არ იყო და ამიტომ გადაწყვეტილება გავასაჩივრეთ, — განაცხადა „შავ-ლურჯების“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ — არც იმაში გვეპარებოდა ეჭვი, რომ ჩვენს არგუმენტებს მოისმენდნენ და სიმართლეს გაარკვევდნენ“.

ერთი სიტყვით, ვეტერანი ფორვარდი ვერონაში იქნება. არ არის გამორიცხული, რომ ვიერი სათადარიგოთა სკამზე მაინც დასვან და, თუ გაჭირდა, მოედანზეც შეიყვანონ.

სხვა რა პრობლემაა? ალბათ, ის, რომ რამდენიმე დღის წინ ფეხბურთელები სანაკრებო ამხანაგურ შეხვედრებზე იყვნენ გაკრეფილნი და მგზავრობითა და თამაშით დაიღალნენ, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის თამაშები განახლდება და საამისოდ ძალებია დასაზოგი.

„კიევოს“ სანერვიულო არაფერი აქვს. უეფას თასიდან გავარდნილია, ნაკრებში სულ ერთიორი კაცი იყო და არც ტრავმები აწრჩობს. და, კიდევ, დააკვირდით გარემარბ ლუსიანოს. იგი „კიევოში“ თამაშობს, მაგრამ „ინტერის“ თავკაცის, ექტორ რაულ კუპერის რჩეულია და ზაფხულზე, ალბათ, დღევანდელი მეტოქის რიგებში გადაბარგდება. ერთი სიტყვით, წესით ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მომავალ მწვრთნელს კიდევ უფრო მოაწონოს თავი.

„იუვეს“ პარმაში ვნახავთ. თამაში, წესით, დაძაბული უნდა იყოს, რადგან „სტადიო ტარდინის“ ამ გუნდების შეხვედრების დროს ბევრი ინციდენტი ახსოვს. მერედა, ორივე კარგ ფორმაშია.

სებასტიან ფრეიმ — პარმელთა მეკარეა — ბოლო ორ თამაშში სამი პენალტი მოიგერია, ასე რომ, ამ ფრანგისთვის გოლის შეგდება-არშეგდება ფრიად საინტერესო თემაა. მასპინძლების დაცვა, ბენარივოსა და ჟუნიორის არყოფნაში, ბუნებრივია, დასუსტებული იქნება, თუმცა ისიც სათქმელია, რომ დანიელე ბონერამ და მატეო ფერარიმ დისკვალიფიკაცია მოიხადეს. ზემოხსენებული კიევოელი ლუსიანოსი არ იყოს, პარმელები ადრიან მუტუ და ადრიანო თავიანთ მომავალ გუნდს ეთამაშებიან.

ჩემპიონს კი კვლავ არ ჰყავს მთავარი ფიგურა, ალესანდრო დელ პიერო. სამაგიეროდ, ჰყავს ოდინელელი პარმელი მარკო დი ვაიო, რომელიც დავიდ ტრეზეგეს შეუწყვილდება თავდასხმაში. დისკვალიფიკაცია მოიხადა გაიტალიელებულმა არგენტინელმა მაურო კამორანეზიმ, თუმცა, ყველაფერი მაინც ერთ საკითხთან არის დაკავშირებული — „იუვეს“ ჩემპიონთა ლიგაში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ელის შეხვედრა და თუ მარჩელო ლიპი ძალთა დაზოგვას განიზრახავს...

საინტერესოა, რომ დი ვაიოს გარდა თავის ყოფილ გუნდს უპირისპირდებიან ჯანლუიჯი ბუფონი და ლილიან ტურამიც. ითამაშებენ თუ არა ანტონიო კონტე და ალესიო ტაკინარდი, დღეს უცნობია — კუნთები სტკივათ — ხოლო ედგარ დავიდსმა მცირე ტრავმა მოიშუშა.

„მილანს“ კი შინ ელის გამოცდა — „ლაციო“. ამ გუნდების დაპირისპირება უგოლოდ თითქმის არასდროს მთავრდება, გარდა ამისა, დაკვირვება გვაჩვენებს, რომ მილანელებს იმ გუნდების დამარცხება, რომლებიც დაცვაში ხალხმრავლობის წესს მისდევენ, უფრო უჭირს, ასე რომ, ვნახოთ. მეორეს მხრივ, „ლაციოსაც“ ძალიან უყვარს შეტევა.

ჩინეთიდან ახალდაბრუნებული რივალდო, ალბათ, თავიდან სათადარიგოთა სკამზე იჯდება. პაოლო მალდინი დისკვალიფიცირებულია.

„ლაციომ“ ბოლო დროს ჯახირს უმატა, თუმცა სტუმრად მაინც დაუმარცხებელია. ამასობაში, შინ არ დამარცხებულა „მილანი“. ერთი სიტყვით, „სან სიროზე“ საინტერესო თამაში გველის.

# ესპანეთი

გიორგი [illegible]

## რა გვინდა აქ?!

### თქვენს მტერს ჰქონდეს კუროს იმედი

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ესპანიოლი | — | ბარსელონა |
| ვალენსია | — | მალაგა |
| ვალიადოლიდი | — | დეპორტივო |
| **ხვალ** | | |
| სელტა | — | უელვა |
| ატლეტიკო | — | მალიორკა |
| ბილბაო | — | სევილია |
| ბეტისი | — | სოსიედადი |
| ოსასუნა | — | რეალი |
| ალავესი | — | ვილიარეალი |
| რასინგი | — | რაიო ვალეკანო |

| საქლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 21 | 12 | 8 | 1 | 36:24 | 44 |
| რეალი | 21 | 11 | 9 | 1 | 46:22 | 42 |
| ვალენსია | 21 | 11 | 6 | 4 | 34:17 | 39 |
| დეპორტივო | 21 | 10 | 6 | 5 | 30:25 | 36 |
| სელტა | 21 | 10 | 3 | 8 | 24:19 | 33 |
| ბეტისი | 21 | 9 | 6 | 6 | 31:27 | 33 |
| ატლეტიკო | 21 | 7 | 8 | 6 | 33:27 | 29 |
| ვილიარეალი | 21 | 7 | 7 | 7 | 21:22 | 28 |
| მალაგა | 21 | 6 | 9 | 6 | 28:26 | 27 |
| ვალიადოლიდი | 21 | 8 | 3 | 10 | 21:24 | 27 |
| მალიორკა | 21 | 8 | 3 | 10 | 24:35 | 27 |
| სევილია | 21 | 6 | 8 | 7 | 17:16 | 26 |
| ბილბაო | 21 | 7 | 5 | 9 | 32:37 | 26 |
| ალავესი | 21 | 6 | 7 | 8 | 26:33 | 25 |
| ბარსელონა | 21 | 6 | 6 | 9 | 29:30 | 24 |
| ოსასუნა | 21 | 6 | 6 | 9 | 23:27 | 24 |
| რასინგი | 21 | 7 | 2 | 12 | 24:29 | 23 |
| ესპანიოლი | 21 | 6 | 4 | 11 | 24:31 | 22 |
| რაიო | 21 | 6 | 4 | 11 | 22:30 | 22 |
| უელვა | 21 | 3 | 6 | 12 | 17:41 | 15 |

**ვინძლო** ისეც მოხდეს, რომ „ბარსელონასთვის“ „რასინგი“ — „რაიო ვალეკანოს“ შეხვედრა ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. ცხრილს ჩავხედოთ: თუ სანტანდერული მატჩი ფრედ არ დასრულდა, ანუ ერთადერთმა გუნდმა სამი ქულა მოიპოვა — რისი ალბათობაც ძალიან დიდია — ხოლო „ბარსელონა“ თანაქალაქელ „ესპანიოლთან“ დამარცხდა, კატალონიური გრანდი (სჯობს, კვლავაც გრანდად მოვიხსენიოთ) გასავარდნთა ზონაში აღმოჩნდება.

„ბარსელონას“ 5 იანვრის ჰერე აღარ მოუგია და მაშინაც წყალწაღებულ „უელვას“ სძლია. მერე კატალონიელებმა მალაგაში ფრედ ითამაშეს, რასაც ზედიზედ სამი მარცხი მიაყოლეს — ეს ყველაფერი ლუის ვან გაალისა და ხუან გასპარის დროინდელი ამბებია. წინა ტურში „ბარსამ“ თამაში ცოტათი გამოასწორა და აღარ წააგო — ეს უკვე რადომირ ანტიჩის შედეგია. დღეს, ბარსელონური დერბის წინ კი კლუბში ერთი ცვლილებაცაა — საპატიო სტუმართა ლოჟაში გასპარის ნაცვლად პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ენრიკე რეინა იჯდება.

ცხადია, „ბარსას“ ფეხბურთელთა მატჩისწინა კომენტარები ისეთია, წაგებას გამორიცხავენ. გუნდში არსებული განწყობის შესაფასებლად ფრანკ დე ბურის მოსაზრებას გაგაცნობთ: „ისეთი შემადგენლობით, ჩვენ რომ გვყავს, გაუგებარია, მე-15 ადგილზე როგორ აღმოვჩნდით, უფრო ქვევით დაშვებას კი სრულად გამოვრიცხავ“.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ „ესპანიოლიც“ რომ ხელწამოსკრავი გუნდი აღარ არის? წინა ორ ტურში მან ლიდერებს, „სოსიედადსა“ და „რეალს“ ქულები აართვა, იქამდე „დეპორტივო“ დაამარცხა და საერთოდაც, ხავიერ კლემენტეს მისვლის შემდეგ „ესპანიოლი“ საოცრად გარდაიქმნა. ახლა ვითარება ისეთია, რომ კლემენტეს ერთადერთი პრობლემა რაულ ტამუდოს ყოფნა-არყოფნაა, გუნდის საუკეთესო ფორვარდი კვირის დასაწყისში შეუძლოდ გახლდათ, მაგრამ დღეისთვის შესაძლოა, ფორმაში ჩადგეს.

ლიდერობის ხელში ჩაგდების მოსურნე „რეალს“ პამპლონელები დისკვალიფიცირებული არგენტინელი ნახევარმცველის, ხერარდო რივეროს გარეშე დაუხვდებიან. მადრიდელებს კი, რაკი ფერნანდო იერო დამტვრეული ჰყავთ, ერთადერთი გზა რჩებათ — დაცვის ცენტრში ივან ელგერა და ფრანსისკო პავონი შეაწყვილონ.

მაგრამ ლიდერობის ხელში ჩაგდება მხოლოდ „რეალის“ მონდომებაზე არ არის დამოკიდებული, ამისთვის „სოსიედადი“ სევილიაში „ბეტისთან“ უნდა დამარცხდეს. ისე, ფრის შემთხვევაშიც „რეალი“ გადადის პირველ ადგილზე (ცხადია, „ოსასუნას“ თუ მოუგო) ბურთების უკეთესი შეფარდებით.

„ბეტისმა“ წინა ტურში „რეალთან“ 1:4 წააგო, თუმც საერთო აზრით, ამ სეზონში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. „სოსიედადს“ საქმე რთულად აქვს — ხავი დე პედრო და მიკელ არანბურუ დისკვალიფიცირებულნი არიან, გამთამაშებელი ხაბი ალონსო კი დაშავებულია.

„ვალენსიამ“, რომელიც დაწინაურებულებს კვალში უდგას, წინა ტურში სამარცხვინო ფრე გააგორა უელვაში, არადა, იქამდე ზედიზედ სამი თამაში მოიგო. ახლა მოქმედი ჩემპიონი „მალაგას“ მასპინძლობს და რაფაელ ბენიტესი სასტარტო შემადგენლობაში არგენტინელი კილი გონსალესის დაბრუნებას აპირებს.

მაგრამ ვალენსიელთა ბანაკში ცუდი ამბებიცაა: ორი რჩეული მცველი, რობერტო ფაბიან აიალა და კურო ტორესი ვერ ითამაშებენ. აიალას ხუთი გაფრთხილება დაუგროვდა და დისკვალიფიცირებულია, კურო ტორესის საქმე კი უფრო შავადაა. გუშინ მას მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს და სეზონის ბოლომდე ფეხბურთს გამოეთხოვა. „ვალენსიას“ ექიმის, ხორხე კანდელას თქმით, მწვრთნელს ტორესის იმედი მომდევნო ნახევარი წელი აღარ უნდა ჰქონდეს.



ფეხზე დაუდგებითო, აიმედებს ბარსელონელი ფრანკ დე ბური თანაგუნდელ რობერტო ბონანოს

# გერმანია

დავით თავართქილაძე




მიუნხენური დერბისთვის ასეთი გაწევ-გამოწევა უცხო არ არის

# გრიპო, რა შიგან ხარ, რა ზნე გჭირსა

## ეფენბერგი და ბავშვობის სენტიმენტები

**მიუნხენურ დერბის** ალმაცერად ნუ უყურებთ — ის მართლა დერბია მთელი თავისი ღირსებებითა და ვნებით.

„მიუნხენ 1860" უფრო სახალხო გუნდია, მუშურგლეხური და უფრო ტრადიციული, „ბაიერნი" კი ნატიფი ბავარიისაა — მიუნხენი გერმანიაში ყველაზე მარიაჟი ქალაქია მიუხედავად იმისა, რომ იქ ისეთი მუზეუმები და ისტორიული ნაგებობები არაა, როგორც გერმანიის სხვა ქალაქებში.

პეტერ პაკულტის „ცისფერ ლომებს" სანერვიულო ბევრიც არაფერი აქვთ — ოდენ დისკვალიფიცირებულ ბრაზილიელ მცველ როდრიგო კოსტას მოისაკლისებენ.

„1860"-ის ამბიცია ნათელია — რომელიმე ევროსაგზური. მიუნხენური პროლეტარიატის ყველაზე საინტერესო ფეხბურთელი ამ მომენტისთვის 21 წლის ბენჯამენ ლაუტია — რუდი ფიოლერმა ის უკვე ათამაშა ბუნდესნაკრებში.

დერბის სტატისტიკური ამბები ასეთია — ბოლო ორი მატჩი „ბაიერნმა" მოიგო 3:1 და 5:1. „1860" ოდენ იმით დაიტრაბახებს, რომ ბოლო 11 დერბიდან ერთი მოიგო.

„ბაიერნს" ერთი სული აქვს, როდის დაიბრუნებს გრიპშეყრილ მიხაელ ბალაკს. ესპანეთთან ამხანაგური მატჩის შემდეგ გრიპი იენს იერემისსაც შეეყარა და მისი თამაშიც სათუოა. იმავ ვირუსმა დატანჯა მცველი ტომას ლინკე, ვინც დღეს ალბათ ვერ ითამაშებს.

ჩემპიონ „დორტმუნდს" გრიპისგან ახლახან გამოუჯანმრთელდა შუახაზელი ტორსტენ ფრინგსი, ბევრად უკეთესადაა ტრავმირებული სებასტიან კელიც.

ერთი სიტყვით, დორტმუნდელებს წინ მძაფრი გამოცდები ელის — დღეს „ბოხუმს" გაეჯიბრებიან, რამდენიმე დღეში კი მადრიდის „რეალს" ესტუმრებიან ჩემპიონთა ლიგის მატჩისთვის, ხოლო მომდევნო შაბათს ვესტფალიური დერბი ელით ამბიციურ „შალკესთან" გელზენკირხენში.

მათიას ზამერის გუნდს ბოლო დროს უფრო იმისთვის აკრიტიკებენ, რომ აქამდა მისი ბიჭები სულით დაეცნენ, ჟინი მოაკლდათ. „არსებითი ახლა ისაა, რომ ყველა ფეხბურთელი ჯანზეა. მნიშვნელოვანია ტაქტიკა, მაგრამ ამავე დროს ნამდვილად დავკარგეთ რაღაც, რასაც დავეძებ" — განმარტავს ზამერი.

ამ ორი მატჩის შემდეგ ალბათ ყველაზე საინტერესოა „ლევერკუზენისა" და „ჰანზას" ჯახი. ლევერკუზენელთა ხელმძღვანელობამ, ფაქტობრივად, ცალსახად მიანიშნა მწვრთნელზე — თუ ტოპმიოლერს კვლავაც სურს „ბაიერის" გაწვრთნა, როსტოკელებს უნდა მოუგოს.

დიდად დამაინტრიგებელია „შალკე" — „შტუტგარტის" მატჩი. „შტუტგარტმა" ბოლო ოთხი ბუნდესლიგური მატჩი მოიგო, ანუ რაც სეზონი განახლდა, ყველა თამაში. ფელიქს მაგათისგან დღესაც გამართულ „შტუტგარტს" ელიან.

დანაკლისი აქვთ „ხუმარებს" — მათ დანიელ შემტევი ებე სანდი არ ეყოლებათ, საეჭვოა ჰოლანდიელი მცველის მარკო ვან ჰუგდალემის მინდორზე გასვლა, ისევე როგორც პოლონელი ტომაშ ვალდოხისა.

იმტაზე მოსული „კაიზერსლაუტერნი" ბილეფილდში სტუმრობს. ერიკ გერეტსის ბიჭები კბილებს ილესავენ — ახლა გაჩვენებთ, ვინ არის ბუნდესლიგიდან გასავარდნი გუნდიაო. ლაუტერნელთა მეტოქე „არმინიას" არტურ ვიშნიარეკი დაუბრუნდება შეტევაში, ნახევარმცველ დიტლერ დამეიერის თამაში კი სათუოა.

„მიონხენგლადბახმა" ბოლო სამი თამაში წააგო და ცუდად აქვს საქმე. მისი სტუმარი ბერლინის „ჰერტა" გასვლაზე ტრადიციულად სუსტად კი თამაშობს, მაგრამ ჰანს მაიერის ბიჭებმა ხელ-ფეხი უნდა გაანძრიონ. ბერლინელებს მცველი მარკო რემერი არ ეყოლებათ.

ზედიზედ სამი მატჩი დათმო „ნიურნბერგმაც", რომელსაც „მუსიკოსებთან" მოუწევს საქმის გარჩევა.

„ჰამბურგი" — „ვოლფსბურგი" ეს შეხვედრა ყველაზე უფრო იმითაა საინტერესო, რომ ვოლფსბურგელი შტეფან ეფენბერგი თავის მშობლიურ ქალაქ ჰამბურგში ჩადის — ყველაფერ ამას თან ახლავს ჭორები, ეფენბერგი სეზონის დამთავრებისთანავე „ჰამბურგში" გადავაო.

ბოლოადგილოსან „კოტბუსს" ბრაზილიელი მცველი ვრაჟელი ჰყავს დისკვალიფიცირებული, „ჰანოვერს" კი წინატურგამოტოვებული ხალხი დაუბრუნდება — შემტევი ფრედი ბობიჩი და ესპანელი შუახაზელი ხაიმე.

| XXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰამბურგი | — | ვოლფსბურგი |
| მიუნხენ 1860 | — | ბაიერნი |
| ნიურნბერგი | — | ვერდერი |
| ლევერკუზენი | — | ჰანზა |
| დორტმუნდი | — | ბოხუმი |
| შალკე | — | შტუტგარტი |
| არმინია | — | ლაუტერნი |
| **ხვალ** | | |
| გლადბახი | — | ჰერტა |
| კოტბუსი | — | ჰანოვერი |

| საღლეისო ვითარება | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 20 | 13 | 5 | 2 | 40:15 | 44 |
| დორტმუნდი | 20 | 10 | 6 | 4 | 31:16 | 36 |
| შტუტგარტი | 20 | 10 | 6 | 4 | 33:24 | 36 |
| ვერდერი | 20 | 10 | 4 | 6 | 37:32 | 34 |
| შალკე | 20 | 8 | 8 | 4 | 27:21 | 32 |
| მიუნხენი | 20 | 9 | 4 | 7 | 31:27 | 31 |
| ჰამბურგი | 20 | 8 | 6 | 6 | 25:26 | 30 |
| ბოხუმი | 20 | 8 | 5 | 7 | 36:32 | 29 |
| ჰერტა | 20 | 8 | 5 | 7 | 26:25 | 29 |
| ვოლფსბურგი | 19 | 8 | 2 | 9 | 23:24 | 26 |
| ჰანზა | 20 | 6 | 6 | 8 | 22:24 | 24 |
| არმინია | 20 | 6 | 6 | 8 | 23:28 | 24 |
| ჰანოვერი | 20 | 6 | 5 | 9 | 29:37 | 23 |
| ნიურნბერგი | 20 | 6 | 3 | 11 | 26:34 | 21 |
| ლევერკუზენი | 20 | 5 | 5 | 10 | 25:34 | 20 |
| გლადბახი | 19 | 5 | 4 | 10 | 20:24 | 19 |
| ლაუტერნი | 20 | 4 | 5 | 11 | 22:32 | 17 |
| კოტბუსი | 20 | 4 | 5 | 11 | 18:39 | 17 |

ასოციაციის თასის მერვედფინალი . „ოლდ ტრეფორდი", დღეს

# მანჩესტერი VS არსენალი

**დღეს** „ოლდ ტრეფორდზე" გრინვიჩის მერიდიანის დროით 12 საათზე და 15 წუთზე „კიკოფია". ჩვენებურად რომ ვთქვათ, ინგლისი ასოციაციის თასის მერვედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედი" ამ თასის ახლანდელ მფლობელს, ინგლისის ჩემპიონსა და მიმდინარე პრემიერლიგის ლიდერ ლონდონის „არსენალს" უმასპინძლებს.

ეს თასი „მანჩესტერს" 10-ჯერ აუწევია, „არსენალს" კი 8-ჯერ.

გავიხსენოთ 1999 წელი — მაშინ ეს გუნდები ასოციაციის თასისთვის ნახევარფინალში გადაეყარნენ ერთმანეთს და უგოლო ფრე გამოადნეს. გადათამაშება „ვილა პარკზე" მოეწყო, ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა, არადა 90-ე წუთზე „მეთოფე" ლენის ბერხკამპს უნდა გაეტანა — მისი 11-მეტრიანი პიტერ შმაიხელმა მოიგერია. ოვერტაიმში კი რაიან გიგზმა არაჩვეულებრივი სოლო რეიდი იკისრა, რაც გამარჯვების მომტანი გოლით დასრულდა.

მაგრამ დღეს გიგზის თამაში საეჭვოა. მას წვივის კუნთი სტკივა — უელსელი თავის ნაკრებს შეეშველა კარდიფში ბოსნიელებთან ამხანაგურ მატჩში.

ცხოვლად უნდა მინდორზე გასვლა ცეტ ფაბიენ ბარტეზს, მაგრამ ფრანგ მეკარეს თეძოს კუნთი მთლად ბოლომდე ვერ მოუშუშებია.

ინგლისში ჰგონიათ, რომ თასი ამ წყვილიდან დარჩება რომელიმეს, რადგან პრემიერლიგის ბევრი გუნდი უკვე გამოეთიშა ტურნირს.

ფინალი კი გიგზის სამშობლოში, უელსის დედაქალაქ კარდიფში გაიმართება

ერთ ფინალს საამისეზონოდ „მანჩესტერი" ნაღდად ითამაშებს — ლიგის თასისთვის „ლივერპულს" გაეჯიბრება.

„მანჩესტერის" და „არსენალის" ბოლო ჯახი პრემიერლიგური იყო — დეკემბერში სერ ალექსის ბიჭებმა 2:0 სძლიეს არსენ ვენგერისას.

„არსენალი" ზედიზედ 13 მატჩია, არ დაუმარცხებიათ. რიხით მიდის „მანჩესტერიც", თუმცა ლანკაშირელებს წაუგებელი მატჩების სერია ცოტათი მოკლე აქვთ — 11 თამაში.

ისიც მნიშვნელოვანია, რომ ეს მერვედფინალი ორივე გუნდისთვის გენერალური რეპეტიციაა — მომდევნო კვირას ხომ ჩემპიონთა ლიგა განახლდება.

სამი დღის წინ კი „მანჩესტერმა" და „არსენალმა" ჯამში 21 ფეხბურთელი მიავლინეს სხვადასხვა ნაკრებებში ამხანაგური მატჩებისთვის. კლუბებში მობრუნებულთაგან კი ორადორი კაცი დაშავდა — გიგზი და პოლ სქოულზი, რომელსაც საზარდული დაეჭიმა.

ყველანი ჯანზე ჰყავს „არსენალს", ლონდონელები მხოლოდ იმაზე თუ დაიწუწუნებენ, რომ ბრაზილიელი ჟილბერტო ჩინეთში წასვლა-წამოსვლამ მოქანცაო. „მეთოფე" ფრენსის ჯეფერსმა კი სრულიად ინგლისი იხსნა დიდი სირცხვილისგან — რომ არა მისი გოლი, სვენ გორან ერიქსონის ნაწრთობი ინგლისი დიდი ანგარიშით წააგებდა ავსტრალიასთან.

**დავით თავართქილაძე**

# რატომ წახვედი შენ კარდიფში

## გიზგიზა გიგზი ჩამქრალა




რაიან გიგზის (მარცხნივ) თამაში დღეს საეჭვოა

| ასოციაციის თასზე: 9 მატჩი, 4 მოგება, 1 ფრე, 4 წაგება | | |
|---|---|---|
| 10.03.1906 | შესარჩევი ეტაპი | მანჩესტერი 2:3 არსენალი |
| 30.01.1937 | IV ეტაპი | არსენალი 5:0 მანჩესტერი |
| 10.02.1951 | V ეტაპი | მანჩესტერი 1:0 არსენალი |
| 31.01.1962 | IV ეტაპი | მანჩესტერი 1:0 არსენალი |
| 12.05.1979 | ფინალი | არსენალი 3:2 მანჩესტერი |
| 16.04.1983 | ნახევარფინალი | მანჩესტერი 2:1 არსენალი |
| 20.02.1988 | V ეტაპი | არსენალი 2:1 მანჩესტერი |
| 11.04.1999 | ნახევარფინალი | მანჩესტერი 0:0 არსენალი |
| 11.04.1999 | ნახევარფინალი (გად.) | არსენალი 1:2 მანჩესტერი |

**ყველა მატჩი**

სულ: 185 მატჩი, 75 მოგება, 38 ფრე, 72 წაგება

**ბოლო მატჩი**

„ოლდ ტრეფორდი". 07.12.2002

**მანჩესტერი 2:0 არსენალი**

1:0 ვერონი (22), 2:0 სქოულზი (73)



ალან შირერი

# პრემიერლიგა გაჭრაზე

## მოდი, ნახე, აარჩიე

*პრემიერლიგის შექმნიდან 10 წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ დაგროვდა, რასაც დახარისხება სჭირდება. თუნდაც იმიტომ, რომ თარიღი საიუბილეოა. ინგლისელებს სხვადასხვაგვარი სტატისტიკური მონაცემების შეგროვება არ ეზარებათ და ამჯერადაც 10 წლის მონაგარის 9 ნომინაციად დანაწევრება გადაუწყვეტიათ. საგანგებოდ გაკეთებულ ვებ-გვერდს ქომაგები თავის რჩეულ ფეხბურთელებს სთავაზობენ, რომლებსაც მომავალ კვირაში ცოდვა-მადლს დაუთვლიან და გამარჯვებულებს გამოავლენენ.*

სულ ცხრა ნომინაციაა: საუკეთესო გოლი, საუკეთესო მატჩი, ცალკე ბრიტანელთა და ცალკე ლეგიონერების სიმბოლური ნაკრებები, საუკეთესო უცხოელი და ინგლისელი ფეხბურთელი. გარდა ამისა, უნდა გამოვლინდეს საუკეთესო ფოტო, საუკეთესო კომენტატორი და ყველაზე ყოჩი მეკარე, რომელმაც უძნელესი ბურთი მოიგერია.

ჯერ იმის შესახებ ვთქვათ, რაც დათვლილია. ამ სეზონის ჩათვლით „მანჩესტერ იუნაიტედმა" პრემიერლიგაში 419 მატჩი გამართა და 879 ქულა მოაქუჩა. გოლიც ყველაზე მეტი, 833 გაუტანია. საინტერესოა, რომ „მანჩესტერის" მდევარმა „არსენალმა" იგივე დროის მანძილზე 419 შეხვედრაში 752 ქულა მოაგროვა და 127-ით ჩამორჩა პრემიერლიგის საუკეთესო გუნდს.

ათი წლის განმავლობაში „მანჩესტერ იუნაიტედმა" შვიდჯერ მოიგო პრემიერლიგა, „არსენალმა" ორჯერ და ერთხელ, 1995-ში, „ბლექბერნმა" შეძლო პირველობა. ის, რომ მანჩესტერელები შვიდგზის უძლიერესები არიან, უდავოდ მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონის დამსახურებაა, რომელმაც ლეგიონერთა მიწვევის მიუხედავად, გუნდს წმინდა ბრიტანული სული შეუნარჩუნა.

ყველაზე დიდი მეგოლე ალან შირერი გახლავთ 218 გოლით, ვისთანაც მეორე და მესამე ადგილებზე გასულები, ენდი კოული და ლეს ფერდინანდი, ახლოსაც ვერ მივლენ, შესაბამისად, 152-ით და 135-ით. ასიანთა ნუსხას მეტ ლე ტისიე ასრულებს. მას კვალში მოჭმული ფეხბურთელები — მაიკლ ოუენი, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და ოლე გუნარ სოლსკიაერი უდგანან.

თუ სეზონის მიხედვით დავყოფთ, ახალშექმნილი პრემიერლიგის პირველი ბომბარდირი „ტოტენჰემის" თავდამსხმელი ტედი შერინგემი გახდა 22 გოლით. 1993-94-ში ნიუკასლელმა ენდი კოულმა გამოყო თავი და 34 გოლი მიითვალა. ამდენივე, ოღონდ 1994-95-ში, შეაგდო ალან შირერმა, როცა „ბლექბერნი" ჩემპიონი გახდა. მომდევნო წელს შირერმა სამით ნაკლები გაიტანა და ჯერჯერობით ერთადერთია პრემიერლიგის ისტორიაში, 30-ზე მეტი ორჯერ რომ გაუტანა და ამასთან ზედიზედ სამჯერ საუკეთესო მეგოლის ტიტული გაირტყა. 1996-97 წლებში ალან შირერი ოდენ 25-ს დასჯერდა.

ამის შემდგომ, პრემიერლიგას ორი სეზონის მანძილზე რამდენიმე ბომბარდირი ჰყავდა ერთად, თან გოლთა რიცხვმა ძალიან იკლო და სულ 18-ჯერ გატანა გახდა საკმარისი მთავარმეგოლეობისთვის. 1997-98-ში ერთბაშად სამ მოთამაშეს — დიონ დაბლინს, მაიკლ ოუენს და კრის სატონს — დაუგროვდა 18-18. მერე ოუენს ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი და დუაიტ იორკი ჩაუხიარდნენ. 1999-2000 წლების სეზონში სანდერლენდელი კევინ ფილიპსი აფეთქდა, რასაც მის მიერ გატანილი 30 გოლი მოჰყვა. შარშან და შარშანწინ კი ტიერი ანრი და ჩელსელი ჯიმი ბომბარდირობდნენ.

თუ თამაშების რაოდენობას ჩავხედავთ, აქ გარი სპიდი ლიდერობს 371 მატჩით, მას ნაიჯელ უინტერბერნი უდგას კვალში 352-ით. მესამე-მეოთხე ადგილებს დევიდ ჯეიმსი და ალან შირერი იყოფენ 334-ით. ამჟამად 300-იანთა სიის ბოლო წევრი დუაიტ იორკი გახლავთ, ლეს ფერდინანდს კი ოდენ ერთილა უკლია იორკთან გასათანაბრებლად.

რაც შეეხება ზედიზედ ჩატარებულ შეხვედრებს, ყოფილი ლივერპულელი დევიდ ჯეიმსი 159-ით პირველ ადგილზეა, მეორე-მესამეზე კი უეინ ბრიჯი (113) და ნილ სალივანი (109) დგანან.

სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრის დიდი შანსი აქვთ ინგლისელთაგან დევიდ სიმენს, მიუხედავად იმისა, რომ მაღლა ახტომა არ უყვარს, ხოლო უცხოელთაგან ჯერჯერობით პიტერ შმაიხელი ლიდერობს. დანიელს სხვა ლეგიონერი მეკარეები გვარიანად ჩამორჩებიან და შმაიხელი ალბათ, უპირობოდ გაიმარჯვებს.

ლეგიონერთა სიმბოლურისთვის მცველებიც საჭიროა, რომელთა შორის მარსელ დესაი, ჰენინგ ბერგი, სემი ჰიიპია, იაპ სტამი, ფრანკ ლებეფი და პოლ მაკგრათი დაწინაურდნენ, თუმცა აქედან მხოლოდ ოთხს აარჩევენ. სავარაუდოდ, მარსელ დესაის ადგილი გარანტირებული ექნება.

ნახევარმცველებში არჩევანი უსაზღვროა. მარჯვენაფლანგელთა შორის ანდრეი კანჩელსკისის, ბენიტო კარბონეს, ფედერიკ ლიუნგბერგის და ნოლბერტო სოლანოს სახელები ფიგურირებენ. ცენტრის დასაკავებლად დიტმარ ჰამანის, როი კინის, რობერტო დი მატეოს, პატრიკ ვიეირას, ჟუნინიოსა და ემანუელ პეტის სახელები დაეჭიდებიან ერთმანეთს, მარცხენა ფრთისთვის, კი გამოკითხვაში ისეთი ბიჭები დაასახელეს, რომ ნებისმიერ გუნდს დაამშვენებდა: ჰარი კიუელი, დავიდ ჟინოლა, გუსტავო პოიეტი, მარკ ოვერმარსი და რობერ პირესი.

ბრიტანულ სიმბოლურში მოსახვედრად დიდი კონკურენციაა: სტივ ნიკოლი, გარი ნევილი და ლი დიქსონი მარჯვენა მცველის პოზიციაზე წარადგინეს. ცენტრში — ტონი ადამსი, სტივ ბრიუსი, კოლინ ჰენდრი, გარი პალისტერი და გარეთ საუთგეიტი. მარცხნივ — სტიუარტ პირსი, გრემ ლე სო და ნაიჯელ უინტერბერნი. ჩამოთვლილი მცველებიდან ოთხი უნდა შეირჩეს.

ცხადია, სიმბოლური ნაკრების ბრიტანული ვარიანტში, მარჯვენა ნახევარმცველის პოზიციაზე დევიდ ბექჰემი ლიდერობს. ურიგო შანსი არც გორდონ სტრაჩანს, რეი პარლოუსა და მეტ ლე ტისიეს აქვთ. ექვსნი: პოლ სქოულზი, პოლ მერსონი, პოლ ინსი, გარი მაკალისტერი, დევიდ ბეტი და ნიკი ბათი ცენტრალური ნახევარმცველის ადგილზე არიან წარდგენილნი, რომელთაგანაც მხოლოდ ორს აირჩევენ. რაც შეეხება მარცხენა ფრთას, ადგილი ერთია, კანდიდატები კი იცოცხლე: რაიან გიგზი, ჯონ ბარნსი, კრის უოდლი, გარი სპიდი და სტივ მაკმანამანი.

ყველაზე რთული ფორვარდების გაცხრილვა იქნება. მათგან ორი — მარკ ჰიუზი და იან რაში უელსელია. მათ რომ დასცლოდათ, საეჭვოა, პრემიერლიგის ბომბარდირების სათავეში ალან შირერი ყოფილიყო. არადა, ეგებ სწორედ გატანილი გოლების რაოდენობამ გადაწყვიტოს არჩევანი. ამ ნომინაციის ლიდერები არიან: ალან შირერი, პიტერ ბერდსლი, ენდი კოული, დიონ დაბლინი, ლეს ფერდინანდი, რობი ფაულერი, მარკ ჰიუზი, მაიკლ ოუენი, იან რაში, ტედი შერინგემი და იან რაიტი. მეგოლე ბევრია, ადგილი კი მხოლოდ ორი.

თავის მხრივ, ლეგიონერთა სიმბოლურ ნაკრებშიც ორ ფორვარდს აირჩევენ, რაც იოლი არაა, რადგან დასახელებულთა შორის ეს ბიჭები არიან: ერიკ კანტონა, დენის ბერხკამპი, პაოლო დი კანიო, ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, ტიერი ანრი, იურგენ კლინსმანი, ოლე გუნარ სოლსკიაერი, დუაიტ იორკი და ჯანფრანკო ძოლა. თითქმის ყველას, ნორვეგიელის გარდა, თანაბარი შანსი აქვს, რადგან სოლსკიაერი ნამდვილად კარგი მეგოლე კია, მაგრამ მისი ადგილი უფრო საუკეთესო სათადარიგოთა შორისაა.

**ვაჟა ხუციშვილი**



პიტერ შმაიხელი

# წადი, შე კენგურუ!

## ერიკსონს ფერგის ჭკუაზე სიარული დაღუპავს



**ინგლისის** ნაკრების მენეჯერის, სვენ გორან ერიკსონის ბითურად წარმოსახვა ინგლისურმა მედიამ ავსტრალიელებთან მატჩის დასრულებიდან დაახლოებით ერთი წუთის თავზე დაიწყო და დღემდე აგრძელებს.

ფეხბურთში ისეთი ხმადაბალი კაციც კი, როგორიც ავსტრალიური ფეხბურთის თავკაცი რემო ნაგაროტოა, ინგლისელებთან კიდევ ერთხელ შეხვედრის სურვილს აუნთია, ერთხელ მოვუგეთ, მეორედაც მოვუგებთ და სახელი გაგვივარდებაო.

ძველი ვარსკვლავი ჯიმი გრივსი კი ამბობს, რომ ერიქსონმა თავი უნდა დააღწიოს პრემიერლიგის მწვრთნელების და ასოციაციის დიქტატს და ვარსკვლავთა შელავათებზე აღარ იფიქროს.

ცნობილია, რომ სერ ალექს ფერგიუსონმა და არსენ ვენგერმა მთელი ევროპის სანაკრებო მწვრთნელები ააწიოკეს, ბიჭები არ დაგვიტვირთოთო.

„საერთოდ, თუ კაცს იძახებ, უნდა დატვირთო. ცალი ფეხით ვერ ივარჯიშებს. ამას სჯობს, უარესი გამოიძახო და დატვირთო", — ამბობს გრივსი.

უბრალო გულშემატკივრები კი ერიკსონის დათხოვნას მოითხოვენ.

29 მარტს ინგლისელები ლიხტენშტაინს ხვდებიან ევრო 2004-ის შესარჩევ მატჩში და ახლა იმათ მწვრთნელსაც დაუწყია ტრაბახი, მაგათ სუსტი დაცვა ჰყავთ და ჩემიანებს შეტევას ვუბრძანებო.

შვედისა არც ოდესმე სჯეროდათ ძველი თაობის ინგლისელ მწვრთნელებს.

„მე მჯეროდა მისი. მაგრამ ახლა ვეჭვობ. როგორ შეიძლება კლუბების ჭკუაზე გავლა?" უკვირს გრივსს, „თუ ფეხბურთელს არ უშვებენ, სვენმა დისკვალიფიკაცია უნდა მისცეს. მას აქვს ამის უფლება. სანაკრებო კეპი კანფეტი არ არის".

ერიკსონი კი აქამდე ასე არასოდეს აუგდია მედიას. თუმცა, ნაკრების ორწლიანი თავკაცობის მანძილზე ასე ცუდადაც არ უთამაშია და არც კენგურუებთან წაუგია.

კლუბების ბოსები კი, ცხადია, დუმან.

**ირაკლი გამყრელიძე**

## Copa Toyota Libertadores '2003

ლიბერტადორესის თასი 2003

II ჯგუფი. I ტური

**სპორტინგ კრისტალი (პერუ) 0:2 პაისანდუ (ბრაზილია)**

0:1 რობსონი (48), 0:2 ჟუნიორი (52)

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩი

**კრეტეი 0:2 შატორუ**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტულუზი | 25 | 15 | 5 | 5 | 37:15 | 50 |
| მეცი | 25 | 12 | 7 | 6 | 32:20 | 43 |
| ლე მანი | 25 | 12 | 7 | 6 | 31:25 | 43 |
| ლორიანი | 26 | 12 | 7 | 7 | 30:25 | 43 |
| შატორუ | 25 | 12 | 6 | 7 | 30:23 | 42 |
| გრენობლი | 26 | 9 | 10 | 7 | 30:17 | 37 |
| ამიენი | 24 | 9 | 7 | 8 | 18:17 | 34 |
| ნიორი | 26 | 9 | 7 | 10 | 28:29 | 34 |
| ვალანსი | 25 | 9 | 5 | 11 | 27:28 | 32 |
| ლავალი | 24 | 8 | 6 | 10 | 25:27 | 30 |
| ნანსი | 24 | 8 | 6 | 10 | 20:27 | 30 |
| კრეტეი | 23 | 6 | 11 | 6 | 26:25 | 29 |
| კლერმონი | 25 | 8 | 5 | 12 | 27:37 | 29 |
| ბოვე | 24 | 7 | 7 | 10 | 12:15 | 28 |
| გენიონი | 22 | 7 | 6 | 9 | 20:22 | 27 |
| რეიმსი | 24 | 5 | 11 | 8 | 20:25 | 26 |
| ვასკეალი | 24 | 5 | 11 | 8 | 16:21 | 26 |
| კაენი | 25 | 5 | 11 | 9 | 26:32 | 26 |
| ისტრი | 25 | 6 | 8 | 11 | 21:41 | 26 |
| სენტ ეტიენი | 23 | 5 | 9 | 9 | 18:23 | 24 |

## ამხანაგური მატჩი

**კვიპროსი 1:3 სლოვაკეთი**

0:1 რეიტერი (1), 1:1 რაუფმანი (40), 1:2, 1:3 ვიტეკი (65, 85)


UAB "Biljardas" Zeus Biljardai

ბილიარდის მაგიდები და აქსესუარები

1000-ზე მეტი დასახელების



saluc Master

საუკეთესო წინადადებები ახალი საბილიარდო კლუბების გახსნისას

კონსულტაციები, გარანტია ფასდაკლება, რემონტი, რესტავრაცია

ტ: 95-57-75, ტ/ფაქსი: 95-88-46

თბილისი, ჭონქაძის ქ. №2




# ახალი ანეკდოტი
## იერო მივიდა ექიმთან და...

*რამდენ ხანში დავბრუნდები? — პირველი ეს ჰკითხა ექიმს ფერნანდო იერომ. ექიმთან კი „რეალის“ კაპიტანი პრიმერა-დივიზიონის წინა ტურში, „ბეტისთან“ მატჩის შემდეგ მოხვდა.*

| 21.00 | 2108 | კიევო-ინტერი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 23.30 | 2109 | რომა-ბრეშა | 2,1 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,4 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 22.00 | 2110 | ესპანიოლი-ბარსელონა | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 00.30 | 2111 | ვალენსია-მალაგა | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,3 | 4,6 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 00.30 | 2112 | ვალიადოლ.-დეპორტ. | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| | | **16 თებერვალი** | | | | | | | | | |
| 20.30 | 2113 | მ.გლადბახი-ჰერტა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 20.30 | 2114 | კოტბუსი-ჰანოვერი | 2,5 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 18.00 | 2115 | ატალანტა-უდინეზე | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 2116 | ემპოლი-პერუჯა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 18.00 | 2117 | პარმა-იუვენტუსი | 5,0 | 10,0 | 20,0 | 6,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 18.00 | 2118 | პიაჩენცა-ბოლონია | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 18.00 | 2119 | რეჯინა-კომო | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 18.00 | 2120 | ტორინო-მოდენა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.30 | 2121 | მილანი-ლაციო | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 2122 | ბილბაო-სევილია | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 20.00 | 2123 | სელტა-უელვა | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,4 | 4,8 | 11,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 20.00 | 2124 | ოსასუნა-რეალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10,0 | 2,6 |
| 20.00 | 2125 | რასინგი-რაიო | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 20.00 | 2126 | ალავესი-ვილიარეალი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 22.00 | 2127 | ატლეტიკო-მალიორკა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 23.30 | 2128 | ბეტისი-სოსიედადი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **15 თებერვალი** | | |
| 18.30 | 2301 | ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2302 | მიუნხენი-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2303 | ნიურნბერგი-ვერდერი | 1,6 | 2,0 |
| 18.30 | 2304 | ლევერკუზენი-ჰანზა | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2305 | დორტმუნდი-ბოხუმი | 1,7 | 1,9 |
| 18.30 | 2306 | შალკე-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 18.30 | 2307 | არმინია-კაიზერსლაუტერნი | 1,65 | 1,95 |
| 21.00 | 2308 | კიევო-ინტერი | 1,6 | 2,0 |
| 23.30 | 2309 | რომა-ბრეშა | 1,65 | 1,95 |
| 22.00 | 2310 | ესპანიოლი-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| 00.30 | 2311 | ვალენსია-მალაგა | 1,7 | 1,9 |
| 00.30 | 2312 | ვალიადოლიდი-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| | | **16 თებერვალი** | | |
| 20.30 | 2313 | მიონხენგლადბახი-ჰერტა | 1,65 | 1,95 |
| 20.30 | 2314 | კოტბუსი-ჰანოვერი | 1,6 | 2,0 |
| 18.00 | 2315 | ატალანტა-უდინეზე | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2316 | ემპოლი-პერუჯა | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2317 | პარმა-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 18.00 | 2318 | პიაჩენცა-ბოლონია | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2319 | რეჯინა-კომო | 1,7 | 1,9 |
| 18.00 | 2320 | ტორინო-მოდენა | 1,7 | 1,9 |
| 23.30 | 2321 | მილანი-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 20.00 | 2322 | ბილბაო-სევილია | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2323 | სელტა-უელვა | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2324 | ოსასუნა-რეალი | 1,75 | 1,85 |
| 20.00 | 2325 | რასინგი-რაიო | 1,7 | 1,9 |
| 20.00 | 2326 | ალავესი-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |
| 22.00 | 2327 | ატლეტიკო-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 23.30 | 2328 | ბეტისი-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ახალგაზრდა მანუჩარ მარკოიშვილის ძლიერ „ბენეტონში“ თამაშის ხანგრძლივობას მეტოქე გუნდის ზოგადი დონე განსაზღვრავს — ტრევიზოელები რაც უფრო სუსტს ხვდებიან, ქართველს თავის გამოჩენის მეტი შანსი აქვს. ევროლიგის პირველი ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „ბენეტონს“ ლიგის უსუსტესი აეკ-ი ესტუმრა. მასპინძლებისთვის ამ მატჩს ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში A ჯგუფში იპირველებდნენ, „ბენეტონის“ დამრიგებელმა ეტორე მესინამ. გარკვეული რისკის მიუხედავად მაინც უშიშრად შეიყვანა გამოუცდელი მარკოიშვილი მოედანზე და მისთვის სარეკორდო დროით, 18 წუთი ათამაშა. მეტოქე ჯაბანი რომც არ ყოფილიყო, მესინა ალბათ მაინც მისცემდა ქართველს შანსს, რადგან ტრიბუნაზე ნუგზარ კანდელაკი იჯდა, მისი კოლეგა და საქმიანი პარტნიორი ბათუმის „ბასკოდან“. სწორედ იმ გუნდის თავკაცი, საიდანაც „ბენეტონმა“ შარშან ზაფხულს შეიმატა მარკოიშვილი

# ბასკო და ბენეტონი რაღაცას აპირებენ

## მარკოიშვილის ყველაზე მეტი





მანუჩარ მარკოიშვილი „ბენეტონს“ თანდათან ეჩვევა

**— მანუჩარ, ევროლიგაში ასე ხანგრძლივად არასდროს გითამაშია. რას ფიქრობ, გაუმართლე მწვრთნელს?**

— ხანგრძლივი თამაში კარგია, პასუხისმგებლობაც მეტია. მაჯარს ხელში თამაშის შეფასება, უფრო ხარჯზე მაღლდება საუბარი. მეტოქე სუსტი იყო და მეგონა, მესინა მოედანზე მაშინ შემიყვანდა, როცა საკმაო სხვაობით დავწინაურდებოდით, მაგრამ მან მეორე მეოთხედი დაწყებისა, როცა მხოლოდ 8 ქულას ვიგებდით. თავისუფლად ვითამაშე და ხოლოს შანსი ხელიდან არ გავუშვი. ორ ნომერზე გამიწიეს, გამთამაშებელი კი ამერიკელი ტაიუს იდენი იყო. იდენი ყველაფერთან ცდილობდა, ჩემთვის ხელი შეეწყო და ასე ის არ მიგიანებდა. ერთი-ორჯერ არასწორი გადაწყვეტილება მივიღე, დაცვაში მმართებს მომატება.

**— ტრიბუნაზე ისხდნენ შენი ბასკოელი მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი და მეგობრები კადეტთა ნაკრებიდან — გიორგი ცინცაძე და ნიკა ჩხატარაშვილი. ალბათ პასუხისმგებლობას გრძნობდი...**

— შესაძლოა, მაგრამ მათმა დასწრებამ უფრო დადებითად იმოქმედა ჩემზე. რა ხანია, იტალიაში ვარ და ერთი-ორჯერ თუ შევხვედრივარ ქართველს, ახლა კი ჩემი ახლობლები ჩემს თამაშს უყურებდნენ, მქომაგობდნენ და გარკვეულ სტიმულს ესეც მაძლევდა. თამაშში ისე ვიყავი გართული, ერთი-ორჯერ თუ მომესმა „ბუს“ და ნიკას შეძახილი, არადა, თურმე ისინი გამუდმებით მამხნევებდნენ.

**— ცინცაძე და ჩხატარაშვილი „ბენეტონს“ სამომავლოდ შეუგულებია. როგორ ჩაიარა მათმა გასინჯვებმა?**

— გიორგიმ და ნიკამ რამდენჯერმე ივარჯიშეს „ბენეტონის“ ახალგაზრდულ გუნდთან და, როგორც გავიგე, ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებიათ. ისინი ბოლოს მესინამ პირველი გუნდის ვარჯიშზე მიიწვია და უშუალოდ იხილა საქმეში. მთავარ მწვრთნელს რა შთაბეჭდილება შეექმნა ზუსტად არ ვიცი.

**— ნუგზარ კანდელაკს შენი კლუბის ხელმძღვანელობასთან სხვა საქმეც ხომ არ ჰქონდა?**

— კონკრეტულად არაფერი ვიცი, თუმც „ბასკო“ და „ბენეტონი“ დაძმობილებული კლუბები არიან და მსმენია, მომავლისთვის რაღაც ღონისძიებებიც დაუგეგმავთ. კანდელაკმა პირადად გაიცნო მესინა, ხოლო რაზე ისაუბრეს და რა დაგეგმეს, ვერაფერს გეტყვი.

**— „ბენეტონმა“ ჯგუფში უძლიერესი შემადგენლობის „ბარსელონასაც“ კი გადაუსწრო. შენი აზრით, კატალონიელებზე ძლიერები ხართ?**

— სათითაოდ ბენეტონელები, რა თქმა უნდა, ჩამოვუვარდებით ბარსელონელებს, იქ ხომ ევროპის უძლიერესი კალათბურთელები თამაშობენ, მაგრამ, როგორც გამოჩნდა, „ბენეტონი“ უფრო შეთამაშებული და შეკრული გუნდია. ისე კი, ბარსელონელი ბოდიროგასა და ნავაროს დარი მოთამაშეები ჩვენ არ გვყავს.

**— ალბათ ევროლიგის ჩემპიონობასაც უმიზნებთ...**

— ჯერ ჩემპიონობაზე არავინ ლაპარაკობს. ახლა მიზნად ოთხთა ფინალში გასვლა დავისახეთ და თუ ეს მოვახერხეთ, ევროლიგის მოგებაზე მერელა ვიფიქრებთ.

**— შენ ისევ მეორეხარისხოვან კალათბურთელად ითვლები „ბენეტონში“. აეკ-თან თამაშის შემდეგ როგორი თვალით უყურებ შენს მომავალს?**

— ისეთი არაფერი ჩამიდენია, აქედანვე რომ ვთქვა, ჩემს წარმატებაში დარწმუნებული ვარ-მეთქი. სეზონის ბოლომდე საკმაო დროა, ყველაფერი მოგვიანებით გაირკვევა. მე ცდას არ ვაკლებ, თავდაუზოგავად ვვარჯიშობ, დანარჩენს მწვრთნელები გადაწყვეტენ.

**ირაკლი ბერტაია**

## ევროლიგა პირველი ჯგუფური ეტაპი. XIV ტური 12-13 თებერვალი

# ბოისამ პანათინაიკოსს ჩაუჭრა და ოლიმპიას გზა გაუჭრა

**პირველი** ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში გვარიანი ბრძოლები გაიმართა განსაკუთრებით იმ მატჩებში, რომლებშიც მომდევნო ეტაპზე გამსვლელთა ბედი წყდებოდა. სანამ ყოფნა-არყოფნის განმსაზღვრელ თამაშებზე მოგითხრობდეთ, B ჯგუფის გამარჯვებულზე ვთქვათ, რომელიც „პანათინაიკოს“ — „ოლიმპიას“ ჯახმა გამოავლინა. ამ მატჩის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ჩვენებური ვლადიმერ ბოისა გახლდათ.

ათენმა ტურის ყველაზე დაძაბულ მატჩს უმასპინძლა. ბურთაობა საამოდ სანცქერი არ ყოფილა, საკმაოდ დაბალი ანგარიში დაფიქსირდა, თუმც კი მაყურებელს დაუკმაყოფილებლობის გრძნობით არ დაუტოვებია ათენის ოლიმპიური დარბაზი. მოქმედმა ჩემპიონმა „პანათინაიკოსმა“ ბოლო წამებზე დაამარცხა ლიუბლიანური კლუბი, თუმც ვლადიმერ ბოისას ბოლო წამზე ნასროლი სამქულიანი რომ ჩავარდნილიყო, ოლიმპიელები კიდევ ერთხელ ჩასცემდნენ ლახვარს სეზონის წინ მათზე აუგად მოუბარ არაერთ სპეციალისტს.

დიახ, ბოისამ გადამწყვეტი სროლა ააცილა, მაგრამ კოკას ხომ ყოველთვის არ მოაქვს წყალი, ვოკას ჩავდებული საკვანძო ბურთებიც გვახსოვს არგამართლების მიუხედავად, ბოისა მაინც ჩაითვლება „ოლიმპიას“ და შესაძლოა, მატჩის ყველაზე შედეგიან მოთამაშედაც. ჩვენებურმა თანაგუნდელ დუჯმოვიჯთან ერთად ოლიმპიელთაგან ყველაზე მეტი, 9 ქულა მიითვალა, ხოლო მოხსნებში ბადალი არ ჰყავდა. ვოკას მიერ ჩაჭრილი ბურთების ოდენობა კი არათუ ამ მატჩში, მთელ ევროლიგაში სამაგალითოა. ბოისა დაცვაში ერთობ ყოჩაღად გაისარჯა და მეტოქეებს 6 ბურთი ასწაპნა, როცა პანათინაიკოსელებს ჯამში მხოლოდ 7 ჩაჭრა დაუგროვდათ. ამ წაგებით „ოლიმპიამ“ მესამე ადგილზე გაასრულა ეტაპი. ამის მიუხედავად დღეს გასამართი მეორე ჯგუფური ეტაპის კენჭისყრაზე ლიუბლიანელები მეორე კალათაში არიან განთესილნი.

სხვათა შორის, ამ ჯგუფიდან ხუთის ნაცვლად ექვსმა გუნდმა გააღწია შემდეგ ეტაპზე, რადგან „სიენას“ უკეთესი ბურთების შეფარდება ჰქონდა სამი ჯგუფის მეექვსეადგილოსანთა („პო ორტეზი“, „რეალი“) შორის. სიენელებმა იმის შიშით, რომ მდევარი არ წამოსწეოდათ, „ბუდუჩნოსტი“ არ დაინდეს და მთლად მიწასთან გაასწორეს — 112:49.

ყველაზე დაძაბული ვითარება C ჯგუფში შეიქმნა. ბოლოადგილოსანი „პარტიზანის“ გარდა თითქმის ყველას ჰქონდა გასვლის შანსი. თუმცა პოლონურმა „შლიონსკმა“ მძლავრი ცსკაშინ ვერ დასცა, მაგრამ რომც ემარჯვა, საუკეთესო მეექვსეადგილოსნის პრივილეგიით მაინც ვერ ისარგებლებდა, რადგან, ზემოთაც ვთქვით, „სიენამ“ იმხელა სხვაობით იმძლავრა მეტოქეზე, რომ მისი დამწევი არავინ იყო... მთავარი ამბები სამეხუთეადგილო მატჩში მოხდა, რომელშიც ნაგრანდალი „რეალი“ საშუალო გაქანების „ვილერბანს“ მასპინძლობდა. სტუმრებმა გმირობა ჩაიდინეს და ერთ დროს ევროკალათბურთის სუპერკლუბი ტურნირს მიღმა დატოვეს.

**ირაკლი სახეჩიძე**





ვლადიმერ ბოისამ „პანათინაიკოსის“ ფარი მოაოხრა

### A ჯგუფი

**ეფესი 69:71 პო ორტეზი**
ეფესი: ბრაუნი (30), კამბალა (12)
პო ორტეზი: ლუკოვსკი (16)

**ბენეტონი 72:59 აეკ**
ბენეტონი: იდენი (16), მარკონატო (10), მარკოიშვილი (18 წუთი, 5 ქულა, 2 მოხსნა)
აეკ: ლეკნი (18), დიკუდისი (16), ბეტსი (11)

**ციბონა 89:83 სკიპერი**
ძირითადი დრო 76:76
ციბონა: მამიჩი (21), მუეძინოვიჩი (16), კაჩინი (14)
სკიპერი: ბაზელი (27), გალანდა (17)

**ალბა 66:80 ბარსელონა**
ალბა: სტანოევიჩი (30), კოლინზი (14)
ბარსელონა: ბოდიროგა (21), ნავარო (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 14 | 11 | 3 | +145 | 25 |
| ბარსელონა | 14 | 11 | 3 | +89 | 25 |
| ეფესი | 14 | 8 | 6 | +74 | 22 |
| სკიპერი | 14 | 8 | 6 | -2 | 22 |
| ციბონა | 14 | 7 | 7 | -52 | 21 |
| პო ორტეზი | 14 | 6 | 8 | -48 | 20 |
| ალბა | 14 | 4 | 10 | -108 | 18 |
| აეკ | 14 | 1 | 13 | -98 | 15 |

### B ჯგუფი

**სიენა 112:49 ბუდუჩნოსტი**
სიენა: ფორდი (24), თურქჯანი (24 ქულა, 13 მოხსნა), კიაჩიგი (19)
ბუდუჩნოსტი: მილოევიჩი (16)

**მაკაბი 76:71 ჟალგირისი**
მაკაბი: ლუისი (25), ჯუიჩიჩი (18)
ჟალგირისი: კოტა (21), ბირდი (14)

**პანათინაიკოსი 65:63 ოლიმპია**
პანათინაიკოსი: კალაიძისი (14), ალვერტისი (12)
ოლიმპია: ბოისა (26 წუთი, 9 ქულა, 6 მოხსნა, 6 ჩაჭრა), დუჯმოვიჩი (9)

**ტაუ 79:63 უნიკახა**
ტაუ: სკოლა (26), ნოჩიონი (12)
უნიკახა: ესტელერი (13), ოკულაია (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პანათინაიკოსი | 14 | 11 | 3 | +64 | 25 |
| ტაუ | 14 | 9 | 5 | +36 | 23 |
| ოლიმპია | 14 | 9 | 5 | +53 | 23 |
| უნიკახა | 14 | 7 | 7 | +2 | 21 |
| მაკაბი | 14 | 7 | 7 | +48 | 21 |
| სიენა | 14 | 6 | 8 | +40 | 20 |
| ჟალგირისი | 14 | 5 | 9 | -54 | 19 |
| ბუდუჩნოსტი | 14 | 2 | 12 | -189 | 16 |

### C ჯგუფი

**რეალი 77:85 ვილერბანი**
რეალი: ტარლაჩი (24), მულაომეროვიჩი (14), ალსტონი (14)
ვილერბანი: გულიაში (18), ჟიფა (16)

**კინდერი 73:77 ოლიმპიაკოსი**
კინდერი: მარდოკი (20), დაიალი (15)
ოლიმპიაკოსი: ევანსი (28), მარკოვიჩი (14)

**შლიონსკი 73:84 ცსკა**
შლიონსკი: კოლსონი (13), ზიელინსკი (12)
ცსკა: ჰოლდენი (19), სონგაილა (18), ალექსანდერი (16)

**პარტიზანი 86:90 ულკერი**
პარტიზანი: ვუიანიჩი (28), კრსტიჩი (16)
ულკერი: პრაშკევიჩუსი (18), ბუკერი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 14 | 12 | 2 | +144 | 26 |
| ულკერი | 14 | 10 | 4 | +51 | 24 |
| ოლიმპიაკოსი | 14 | 7 | 7 | +25 | 21 |
| კინდერი | 14 | 6 | 8 | -17 | 20 |
| ვილერბანი | 14 | 6 | 8 | -24 | 20 |
| რეალი | 14 | 6 | 8 | -19 | 20 |
| შლიონსკი | 14 | 5 | 9 | -86 | 19 |
| პარტიზანი | 16 | 4 | 10 | -74 | 18 |

# საკმარისია, დამამცირებელი!

## აწყვეტილმა ბრაიანტმა ამ კვირაში „დენვერი" 93 ქულით დატუქსა

**რა შეიძლება** ითქვას დენვერელებზე, მათ ახალბედა ნიკოლოზ ცქიტიშვილზე? პოლიციაში ყურყუტიდან ორ დღეში ამ ახალგაზრდამ კარიერის უმეტესი, 17 ქულა გააკეთა. 19 წლის ჯერაც დაულევინებელ ახალბედას სურს, გახდეს ძლიერი პროფესიონალი კალათბურთელი.

ჩვენ უკვე ვიცით, როგორ ალვუძრათ ცქიტიშვილს მადა: დავაპატიმროთ, თითის ანაბეჭდები ავუღოთ და ციხეში ჩავსვათ. უარეს შემთხვევაში ავტომანქანა მოვპაროთ.

წარმოიდგინეთ, რამდენ ქულას დააგროვებდა ის, თუ „სიდი პლეიერსა" და მობილურ ტელეფონს წავართმევდით და თან ვეტყოდით, ციმბირში სათამაშოდ გიშვებთო.

ცქიტიშვილის ამერიკანიზაცია შესაძლებელია. მისი ველური თავდგადასავლის შემდეგ, როცა პოლიციამ საკმაო ხნით დააკავა და ნაირგვარი ბრალდებები წაუყენა, ცქიტიშვილს ტიპური ამერიკელის რეაქცია ჰქონდა — მან „კოპები" დაადანაშაულა.

საინტერესოა, ვის დაადანაშაულებს იგი იმაში, „დენვერში" უილაჯოდ რომ ირჯებოდა აქამდე? დრაფტის მეხუთე რჩეული წინა 49 მატჩში ბევრ სამქულიანს ესროდა, მაგრამ მიზანს იშვიათად აღწევდა. ის ვერც საშუალო მანძილებიდან გამორჩეულა — 30 პროცენტს აგდებდა.

ასეთ ვითარებაში ცქიტიშვილი შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ყველაზე დიდ იმედგაცრუებად მოწინავე მედრაფტეებს შორის, რომ არა მეორე ნომერი ჯეი უილიამსი. უილიამსი საერთოდ ცარიელი ადგილია. ვერც მაიკ დანლივი და კრის ვილკოქსი ყოჩაღობენ. ამათ გარდა ცქიტიშვილი დრაფტის თითქმის ყველა მეათეულეს ჩამოუვარდება.

ცქიტიშვილი „ლეიკერსთან" სოთხშაბათო მატჩის ნაღდი მონაწილე იყო. მან 11 საჯარიმო სროლიდან 9 ჩააგდო. აქამდე „სკიტა" ბუკინგემის სასახლის მცველივით იდგა პერიმეტრზე და ელოდა, თუ როდის მიაწოდებდნენ ბურთს, რომელსაც ძირითადად აცილებდა. ოთხშაბათამდე ის უილბლო მსროლელს ჰგავდა.

ეს იტალია არ გეგონოს, შვილო... დიდი განსხვავებაა ევროპულ ტაკიმასხარობასა და ამერიკულ თამაშს შორის, როცა ნბა-ს ცბიერი მოთამაშე სახეზე ხელს გაფარებს, იდაყვი კი მუდამ მოღერებული აქვს მოსაქნევად, აქ სამიანს ადვილად არავინ გასროლინებს. ოთხშაბათსაც ცქიტიშვილმა პირველ ნახევარში დიდი ვერაფერი მოახერხა. მან ბოლოს იძალა ფარქვეშა ბრძოლებში და, როგორც ჩანს, საკმარისი ნიჭი აღმოაჩნდა ამ საქმეში.

ცქიტიშვილი აქამდე ფაფუკი, ლასლასა და უჯიგრო იყო, მის იარაღს მხოლოდ სროლა წარმოადგენდა. „დენვერის" გენერალურმა მენეჯერმა კიკი ვანდევეიჯმა, რომელიც წარსულში ურიგო მსროლელად არ ითვლებოდა, ამსიმაღლე და მიზანში ზუსტად მსროლელი მოთამაშე რომ იხილა, მოიხიბლა და დიდი ავანსი გასცა მასზე.

„ლეიკერსთან" კი ქართველმა სხვა კუთხიდან დაგვანახვა საკუთარი თავი. ის დრიბლიორობდა და არცთუ ცუდად. მან არ უნდა იდარდოს აქაურ პოლიციელებზე და სიჩქარის გადაჭარბებისთვის გამოწერილ ქვითრებზე. ცქიტიშვილმა კალათბურთი უნდა ითამაშოს.

ქართველი „ლეიკერსთან" მატჩისწინა დღეს რადიოგადაცემაში გამოვიდა და აქცენტის გარეშე ილაპარაკა ინგლისურად. ერთი ეგაა, ყოველი წინადადების შემდეგ m n-ს აყოლებდა. მან ილაპარაკა ევროპულ კალათბურთზე, სადაც მანამ ათამაშებენ კომბინაციას, სანამ პერიმეტრზე მარტო არ დატოვებენ მოთამაშეს, რომელმაც 10-დან 9 სროლა უნდა ჩააგდოს. აქ კი, უთქვამს ცქიტიშვილს, პირში არავინ ჩაგიდებს ბურთს, შენ თვითონ უნდა შეიქმნა მომენტი... მართალი ხარ, m n...

**მუდი ბეიჯი**
**DENVER POST**



## NBA რეგულარული ჩემპიონატი

13 თებერვალი

**დეტროიტი 98:88 ორლანდო**
**დეტროიტი:** ჰამილტონი (29)
**ორლანდო:** მაკგრეიდი (35), გონი (15)

**პორტლენდი 92:100 ბოსტონი**
**პორტლენდი:** უოლესი (30), ანდერსონი (16)
**ბოსტონი:** პირსი (36), უოლკერი (19)

საქართველოს 12 ჩემპიონატი

## საქართველოს ჩემპიონატი

# მეროვნული მერის ბაღში დაიწყება და რუსთავ-ბათუმში გაცოცხლდება

**ხვალიდან** კვლავ ახმაურდება ვერის ბაღი, ზამთრის არდადეგებების შემდეგ ეროვნული ჩემპიონატი მესამე წრეს იწყებს...

ახმაურდებაო კი ვამბობთ, მაგრამ კალენდარში მომხდარი ცვლილების გათვალისწინებით არა გვგონია, ისედაც მოშიშვლებულ ტრიბუნებს გამოცოცხლება დაეტყოს. აი ცვლილებაც: შაბათის ნაცვლად თამაშები ორშაბათობით გაიმართება ანუ თბილისის სასწავლებლებში ლექცია-გაკვეთილების მიმდინარეობისას. ესე იგი, ვერის ბაღს შესაძლოა ორიოდ ათეული, მაგრამ მაინც დააკლდეს მაყურებელი.

თუ სადმე იქნება ყიჟინა-შეძახილები, ალბათ ბათუმსა და რუსთავში. ამ ქალაქებში ჯერ-ჯერობით არ განელებიათ ეროვნული კალათბურთის ცქერის და აქტიური ქომაგობის სურვილი.

**სატურნირო ვითარება**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 16 | 13 | 3 | +342 | 29 |
| ბასკო | 16 | 13 | 3 | +419 | 29 |
| სტუ | 16 | 13 | 3 | +253 | 29 |
| თსუ | 16 | 12 | 4 | +102 | 28 |
| აზოტი | 16 | 9 | 7 | +9 | 25 |
| სსუ | 16 | 4 | 12 | -346 | 20 |
| მაკაბი | 16 | 4 | 12 | -308 | 20 |
| ქუთაისი | 16 | 3 | 13 | -212 | 19 |
| აკადემია | 16 | 1 | 15 | -259 | 17 |

**III წრის განრიგი**

| | |
|---|---|
| **16 თებერვალი, კვირა** | |
| აკადემია — დინამო | 11.00 |
| სტუ-ჯეოსელი — ქუთაისი | 12.45 |
| თსუ — ბასკო | 14.30 |
| მაკაბი — აზოტი | 16.15 |
| **17 თებერვალი, ორშაბათი** | |
| სსუ — ქუთაისი | 13.00 |
| აკადემია — მაკაბი | 14.45 |
| სტუ-ჯეოსელი — ბასკო | 16.15 |
| **23 თებერვალი, კვირა** | |
| სსუ — აკადემია | 14.00 |
| დინამო — აზოტი | 15.45 |
| ბასკო — მაკაბი | 17.00 |
| **24 თებერვალი, ორშაბათი** | |
| აკადემია — სტუ-ჯეოსელი | 14.00 |
| თსუ — დინამო | 15.45 |
| ქუთაისი — მაკაბი | 17.00 |
| **25 თებერვალი, სამშაბათი** | |
| აზოტი — სსუ | 16.00 |
| **2 მარტი, კვირა** | |
| აკადემია — თსუ | 11.00 |
| სსუ — ბასკო | 12.45 |
| დინამო — ქუთაისი | 14.30 |
| მაკაბი — სტუ-ჯეოსელი | 16.15 |
| **3 მარტი, ორშაბათი** | |
| სსუ — მაკაბი | 13.00 |
| თსუ — ქუთაისი | 14.45 |
| დინამო — ბასკო | 16.15 |
| **4 მარტი, სამშაბათი** | |
| აზოტი — აკადემია | 16.00 |
| **7 მარტი, პარასკევი** | |
| ბასკო — ქუთაისი | 17.00 |
| **8 მარტი, შაბათი** | |
| ქუთაისი — აზოტი | 17.00 |
| **9 მარტი, კვირა** | |
| ბასკო — აზოტი | 17.00 |
| **12 მარტი, ოთხშაბათი** | |
| თსუ — მაკაბი | 14.00 |
| დინამო — სტუ-ჯეოსელი | 15.45 |
| **13 მარტი, ხუთშაბათი** | |
| სსუ — დინამო | 14.00 |
| სტუ-ჯეოსელი — თსუ | 15.45 |
| **18 მარტი, სამშაბათი** | |
| თსუ — სსუ | 13.00 |
| მაკაბი — დინამო | 14.45 |
| სტუ-ჯეოსელი — აზოტი | 16.15 |
| **22 მარტი, შაბათი** | |
| ქუთაისი — აკადემია | 17.00 |
| **23 მარტი, კვირა** | |
| ბასკო — აკადემია | 17.00 |
| **24 მარტი, ორშაბათი** | |
| სტუ-ჯეოსელი — სსუ | 12.00 |
| აზოტი — თსუ | 16.00 |



# ხოტორამ ქოჩრიანები თმებით ითრია

## აგასი თავისი თავივით ლაპლაპებს

**SIEBEL OPEN**
სან ხოსე. მარდი
საპრიზო 380 ათასი

**მეორე წრე**

**ანდრე აგასი (1, აშშ)** — მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) 6:4, 6:1; **ჯეიმს ბლეიკი (3, აშშ)** — ჰიუნგ-ტაიკ ლი (სამხრეთ კორეა) 6:3, 6:2; **ვინსენტ სპადია (აშშ)** — ჟან-მაიკლ გემბილი (4, აშშ) 6:3, 6:3; **დავიდე სანგვინეტი (6, იტალია)** — მარდი ფიში (აშშ) 7:6 (7:1), 7:5; **ნიკოლაი დავიდენკო (7, რუსეთი)** — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4, 3:6, 6:3; **კენეტ კარლსენი (8, დანია)** — პოლ გოლდსტაინი (აშშ) 6:2, 3:6, 7:5; **ჯასტინ გიმელსტობი (აშშ)** — ზაკ ფლაიშმენი (აშშ) 6:1, 6:4

ყველას რომ ეგონა, ტურნირის ორგზის ჩემპიონი მარკ ფილიპუსისი ანდრე აგასის ტოლსწორ და თანაბარ ბრძოლას გაუჩაღებდა, არ გამოვიდა. რვაგზის მესლემტიტულე არმენოამერიკელმა კვლავ ბარაქიანად, აგრესიულად იჩოგნავა და ზორბა ოზის გასაქანი არ მისცა. აგასიმ თავისი ხუთი მოწოდება „მშრალად" მოიგო, ხოლო აჭრილმა ფილიპუსისმა სამეორსეტო ორ გეიმში სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა.

დანარჩენ მატჩებში მესამე ნომრად განთესილმა ჯეიმს ბლეიკმა კორეელი ლი გაწნეხა, ვინს სპადიამ კი მოულოდნელად ჟან-მაიკლ გემბილს, მეოთხე ნომრად განთესილ თვისტომს სძლია და 1999 წლის ინდიანაპოლისური ტურნირის შემდეგ პირველად გააღწია მეოთხედფინალში.

**მარსელის ღია პირველობა**
პარდი. საპრიზო 500 ათასი ევრო

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია)** — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:3, 6:3; **კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი)** — სებასტიან გროჟანი (3, საფრანგეთი) 7:6 (7:4), 6:1; **რაიმონ სლუიტერი (ჰოლანდია)** — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 7:5, 6:7 (1:7), 6:2; **ოლივიე როხუსი (ბელგია)** — რიშარ გასკე (საფრანგეთი) 6:7 (1:7), 5:0 (გასკემ შეწყვიტა); **დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)** — ოლივიე მუტი (საფრანგეთი) 6:3, 6:4; **ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი)** — მარიო ანჩიჩი (ხორვატია) 6:2, 3:6, 7:6 (12:10); **როდოლფ კადარი (საფრანგეთი)** — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:6 (7:5), 6:2; **იონას ბიორკმანი (შვედეთი)** — ადრიან ვოინია (რუმინეთი) 7:6 (8:6), 6:7 (6:8), 6:3

წინა წრეში დაფერთხილ განთესილთა ჯგუფს იმ დღეს მარსელში გაზრდილი სებასტიან გროჟანიც შეუერთდა. ადგილობრივთა ჯილამ ოლინდელ ზეათეულელ სლოვაკთან, კაროლ კუჩერასთან ბულრაობისას გასულ პარასკევ-უქმეებზე სადევისოდ დახარჯული ენერგია მოისაკლისა და ტურნირს გამოეთიშა.

ამ ამბით ყველაზე კმაყოფილი ტურნირის მთავარმეჩოგნე როჯერ ფედერერი უნდა დარჩენილიყო, რომელმაც თავადაც კაცურად იდევისა და მარსელში ამიტომ დასტურ უნაპერწკლოდ ირჯება. თუმც ფინელ ნიემინენს იმ დღეს ის უამნაპერწკლოდაც ეყო.

მორიგი დამღლელი შეხლა გადაიტანა მეორე ფრანგმა მედევისე ესკუდემ. მას გაჯიქებული ჭაბუკი ხორვატის, მარიო ანჩიჩის მძაფრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა.

**BELL SOUTH OPEN**
ვინა დელ მარი. ჩილე
საპრიზო 345 ათასი

**მეორე წრე**

**გასტონ გაუდიო (1, არგენტინა)** — ერმენს გამონალი (ჩილე) 6:3, 6:4; **მარსელო რიოსი (3, ჩილე)** — ალბერტ პორტასი (ესპანეთი) 6:4, 7:6 (7:3); **აგუსტინ კალერი (6, არგენტინა)** — მარიანო პუერტა (არგენტინა) 3:6, 6:2, 6:2; **ფელის მანტია (7, ესპანეთი)** — მარკუშ დანიელი (ბრაზილია) 6:2, 6:3

მსოფლიოს ოდინდელი მეპირველე მარსელო რიოსი მშობლიურ სარბიელზე აქამდე არასოდეს გაპირველებულა და იმედოვნებს, რომ ეს ამ ჯერზე მაინც გამოუვა. იმ დღეს ის ისე-რა ესპანელ პორტასს ერკინა და ანგარიშზევე დაატყობთ, მაინცდამაინც იოლად არ უმარჯვია.

„თავს ბედნიერად ვგრძნობ — ამბობდა ის ნამატჩევს — მართალია, ძველი რიოსი აღარა ვარ, მაგრამ ასეთი მატჩების მოგებით თვითრწმენა მიბრუნდება".

თუკი რიოსი გუშლამინდელ მეოთხედფინალში არგენტინელი კალერის მოდრეკასაც შეძლებდა, მაშინ სადღევანდლო ნახევარფინალში ტურნირის მთავარგანთესილ გაუდიოსთან რკენა მოუწევს.

**PROXIMUS DIAMOND GAMES**
ანტვერპენი. ბელგია
საპრიზო 585 ათასი

**მეორე წრე**

**დანიელა ჰანტუხოვა (4, სლოვაკეთი)** — ელს კალენსი (ბელგია) 5:7, 6:4, 6:4; **ნატალი დეში (8, საფრანგეთი)** — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 1:6, 6:3, 6:0; **აი სუგიამა (იაპონია)** — ანჯელიკა რიოში (გერმანია) 6:1, 6:1; **ტინა პისნიკი (სლოვენია)** — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 4:6, 6:3, 6:0

**ყატარის ღია პირველობა**
დოჰა. ყატარი
საპრიზო 170 ათასი

**მეორე წრე**

**ელენა ლიხოვცევა (5, რუსეთი)** — იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) 6:1, 6:4; **კონჩიტა მარტინესი (7, ესპანეთი)** — ლუსი ალი (ბრიტანეთი) 6:0, 6:2; **ნიკოლ პრატი (8, ავსტრალია)** — ანჯელიკ ვიჯაჯა (ინდონეზია) 4:6, 6:4, 6:1; **პატრისია ვარტუში (ავსტრია)** — მარია ვენტო-კაბში (ვენესუელა) 0:6 6:3, 6:4



იარკო ნიემინენი

*პორტუგალიის ხსენებაზე უპირველესად ფეხბურთი, ვასკუ და გამა, დუქნებში შეზარხოშებული დოკერები და წითელი ღვინო „პორტო“ წარმოგიდგებათ თვალწინ. მნახველისთვის მუდამ დაუვიწყარია ეს სურათიც: ლისაბონის პორტთან ახლოს, პირდაპირ ზღვიდან უზარმაზარი თეთრი ქანდაკებაა ამოზრდილი — ხელებშემართული ვასკუ და გამა თავის არმადას ახალი მიწების აღმოსაჩენად მიუძღვის.*

# აქ რაგბისაც თამაშობენ
## პორტუგალიაში ოვალურად ნახალოვკებში ბურთაობენ

ეუსებიოს და ფიგუს სამშობლოში აღმერთებენ ფეხბურთს და თამაშობენ რაგბის. ოვალური ბურთით და სხვა ყაიდაზე მოთამაშე ხალხი ძირითადად ღარიბი უბნებიდან არიან. სარაგბო გუნდებიც ძირითადად ან რომელიმე გახუნებული უბნისაა, ანაც ქარხნისა. ერთი სიტყვით, რაგბიმ იქ მოიკიდა ფეხი, სადაც მუშათა კასტაა. მრავალი მცდელობის მიუხედავად, პორტუგალიაში რაგბიმ ვერაფრით შეაღწია ელიტაში და ვერც ფულიანი ბიძები დააინტერესა. ამიტომ ევროპის დასავლეთ კიდეზე რაგბი გერია, თუმცა პოპულარობით მხოლოდ ფეხბურთს ჩამოუვარდება.

პორტუგალიურ რაგბის 77-წლიანი ისტორია აქვს. ოვალური ბურთი იქ ბრიტანელებმა შეიტანეს. გადმოცემით პირველი სარაგბო მატჩი ლისაბონში გაიმართა ინგლისელ მეზღვაურებსა და პორტუგალიელ დოკერებს შორის.

რაგბის კავშირი იქ 1926 წელს დაარსდა. მაშინ იგი მხოლოდ 6 გუნდს ითვლიდა. მერე და მერე რაგბის თამაში მუშებთან ერთად სტუდენტებმაც დაიწყეს და რამდენიმე ინსტიტუტმა კლუბიც დააარსა.

პორტუგალიაში ეროვნული ჩემპიონატი 1959 წლიდან იმართება. იმავე წელსვე შეიქმნა ეროვნული ნაკრები, რომელსაც „ლობოსები“ (ლომები) ეწოდა. „ლობოსებმა“ არსებობს პირველი 30 წლის განმავლობაში სულ რაღაც ხუთი მატჩი ითამაშეს, ხუთივე მეზობელ ესპანეთთან და ყველა წააგეს.

1988 წელს პორტუგალია რაგბის საერთაშორისო საბჭოში (IRB) გაწევრიანდა და IRB-ის ეგიდით ჩატარებულ ტურნირებში მრავალი მატჩიც ითამაშა, ეგაა, იქაურმა „ლომებმა“ ვერაფრით მოიზარდეს ფაფარი და დღემდე ევროპაში საშუალოზე დაბალი დონის გუნდის რეპუტაციას სჯერდებიან.

პორტუგალიას არ უთამაშია არც ერთ მსოფლიოს თასზე, თუმც ამის შანსი ჰქონდა. მათი ჯალათია ესპანელი ხოსე მარია ეპალსა, რომელიც IRB-ის აღმასკომის წევრია და ფრიად გაქნილი პიროვნებაა. ცბიერმა ეპალსამ ისე მოაკვარახჭინა საქმე, რომ 1999 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში ესპანეთს ზედიზედ სამჯერ (!) დაამარცხებინა მეზობლები და ჩემპიონატზე მისიანები გაამგზავრა.

მას შემდეგ პორტუგალიელები ახლოსაც ვერ გაეკარნენ მსოფლიოს თასის ფინალურ ეტაპს. ნუგეშად ისღა დარჩათ, რომ IRB-ის და FIRA-ს (ევროპაში რაგბის განვითარების საბჭო) ძალისხმევით დაარსებულ ევროპის ერთა თასზე ერგოთ ადგილი.

საქართველო და პორტუგალია პირველად 1997 წელს შეხვდნენ ერთმანეთს ლისაბონის უნივერსიტეტის სტადიონზე. მასპინძლებმა 21:17 დაამარცხეს ბორჯღალოსნები. მატჩს თან დიდი აყალმაყალიც ახლდა. ფრანგი მსაჯის, ალან ფერნანდესის არაობიექტურობამ ქართველები ალაშფოთა და ფერნანდესი მოედანზევე გაილახა, ხოლო მეტოქეებს შორის გვარიანი შეხლა-შემოხლა ატყდა. ბორჯღალოსანთა მაშინდელი კაპიტანი, მთაკაცი გია რაფავა მავან პორტუგალიელ გულშემატკივარს ტრიბუნაზეც აუვარდა და პოლიციელთა დროული ჩარევა რომ არა, იოლი მისახვედრია, რა დღეც დაადგებოდა ჩვენების მაგინებელს.

მეორედ პორტუგალია — საქართველო 2000 წელს შედგა. ისევ ლისაბონი და უნივერსიტეტის სტადიონი. სამი წლის წინანდელი ჯახის დარად, ბრძოლა ახლაც ფიცხელი გამოდგა. შესვენებაზე ქართველები მდევრად წავიდნენ. მასპინძლებმა ოთხი ჯარიმა გაიტანეს, რასაც ყმაწვილმა მალხაზ ურჯუკაშვილმა ორი დარტყმით უპასუხა — 12:6.

მეორე ტაიმში ჩვენების სწრაფ შეტევებს 12 წუთში სამი ლელო მოჰყვა. ერთხანს ქართველები 27:12 დაწინაურდნენ, მაგრამ პორტუგალიელთა ფეხჩუბინმა მე-10 ნომერმა ტიერი ტეიშეირამ თავი გამოიდო, ერთი არეკნი და ხუთი საჯარიმო გაიტანა და თითქმის წაგებული მატჩი მასპინძელთა სახეიროდ შეაბრუნა. თუმც ჩვენებსაც აღმოაჩნდათ მშველელი — ლევან ცაბაძე, რომელმაც შეხვედრის ბოლო წუთზე მეტოქის მცველები გადათელა და ძალით დაალელოვა მეტოქე — 32:30.

მესამედ საქართველო და პორტუგალია შარშანწინ შეერკინნენ ერთმანეთს. თბილისურ მატჩში ბორჯღალოსნებმა მეტოქის ზორბა ფორვარდები პატარა ბიჭებივით დაიბრიყვეს და სტუმრებს ექვსი ლელოთი გაუმასპინძლდნენ — 36:12. ჩვენების მე-6 ლელო საიუბილეო, მე-100 აღმოჩნდა ნაკრების ისტორიაში. მისი ავტორი თედო ზიბზიბაძე გახდა. და კიდევ, იმ მატჩში მოდგმით ქართველმა, ხოლო ენით და პასპორტით ფრანგმა გრეგუარ იაშვილმა პირველად ითამაშა ქართველი გულშემატკივრის წინაშე.

მეოთხედ და ბოლოს საქართველო პორტუგალიას შარშან დაეჯახა. ლისაბონურ მატჩში მოულოდნელად პორტუგალიელები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას და ქართველები კედელთან მიაყენეს — 12:0, მაგრამ მერე კლასმა მაინც თავისი გაიტანა. დაძაბულ ბრძოლაში ბორჯღალოსნებმა მალხაზ ურჯუკაშვილის და ბადრი ხეხელაშვილის თითო და აქვსენტი გიორგაძის წყვილი ლელოთი მოგუდეს მასპინძლები. მატჩის ბოლო ათი წუთი ქართველები ორკაცნაკლულნი თამაშობდნენ, მაგრამ საქმე გამარჯვებამდე მაინც მიიყვანეს — 27:23.

**ბაჩო სვანიძე**



ხვალ პორტუგალიელები და ქართველები მეხუთედ შეასკდებიან ერთმანეთს

## ექვსი ერი 2003

# მუდამ გაუცრეცელი დღეს და ხვალ
# ისეთი ამბავია, ხალხი ბუცებით იძინებს

*ამ უქმეებზე, დღეს და ხვალ ჩრდილოეთი სარაგბო ნახევარსფერო სანაკრებო სეზონს ხსნის. ერთა თასის პარალელურად ევროპის უდიდეს სარაგბო სარბიელებზე „თვიქნემზე“, „მარიფილდსა“ და „სტადიო ფლამინიოზე“ ევროპელი ბობოლები ექვსი ერის ზეპრესტიჟულ ტურნირს იწყებენ.*

*„ექვსი ერის“ წლევანდელი კალენდარი ისეთი გამოვიდა, რომ პირველივე ტური ანუ სამი საწყისი თამაში თუ ყველაფერს არა, ბევრს გადაწყვეტს, რაკი ერთმანეთს ერკინებიან პრინციპული და მეტ-ნაკლებად ტოლძალოვანი გუნდები. ასე, მაგალითად, ჩემპიონი საფრანგეთი ფავორიტ ინგლისს სტუმრობს. აუტსაიდერი იტალია დასუსტებულ უელსს დაუხვდება, ტრევიზოში, ხოლო ამბიციებმოძალებულ, თუმც ჯერაც საშუალო (ექვსი ერის საზომებით) ირლანდიას შოტლანდიაში, ასევე საშუალო შოტლანდიელებთან მოუწევს საკუთარი სიძლიერის დამტკიცება*

### ინგლისი — საფრანგეთი
**ლონდონი, „თვიქნემი“. 15 თებერვალი**

ყოველგვარი რისკის გარეშე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ წყვილში ტურნირის მომავალი ჩემპიონი ურევია. საკითხი ასე დგას — ინგლისი ალბათ გახდება ჩემპიონი; საფრანგეთი შეიძლება გახდეს ჩემპიონი. ყველაფერი დამოკიდებულია თვიქნემურ მატჩზე, სადაც მასპინძლებს უზარმაზარი უპირატესობა აქვთ. არაერთი ათეული თამაშია, მათ იქ არ წაუგიათ, ქედი მოუდრეკინებიათ არა მარტო „ექვსი ერის“ დანარჩენი ხუთი ერის რჩეულ მორაგბეთათვის, არამედ სამხრეთელ ბობოლათათვისაც (ახალი ზელანდია, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა).

ამ მატჩის მოგებით ინგლისელები დაამტკიცებენ ბებერ კონტინენტზე თავიანთ პირველობას და ამის დამტკიცება შარშან საფრანგეთში 15:20 დამარცხების შემდეგ ისე სწყურიათ, როგორც ყოველ ნაბახუსევ ინგლისელს ლუდი.

ტრავმები ნაკლებად გაცრეცს ამ ფერადოვან თამაშს. ორივე მხარე თითქმის უძლიერეს შემადგენლობას შეაჯახებს ერთმანეთს. ეგაა, ფრანგებს მოაკლდებათ მძლავრი მარჯვენა ბურჯი პიტერ დე ვილიერი, ვისაც შავად წაუვიდა საქმე. მას სისხლში კოკაინისა და ექსტაზის ნარჩენები უპოვეს და ახლა, როცა ცალკე საფრანგეთის მთავრობა ერჩის და ცალკე ქვეყნის რაგბის ფედერაცია, ცხადია, „მამლები“ უმისოდ იომებენ ინგლისელებთან. შერკინების პირველ ხაზში მის ადგილს 30 წლის კრისტიან კალიფანო დაიჭერს. ამ გოდორა ვეტერანს თურმე ძალიან განუცდია ძირითად 15-ეულში დაყენება. მას ქვეყნის ნაკრებში 65 თამაში ჩაუტარებია და ძირითადში დამსახურებულადაც მოხვდა. ეგაა, ნაკრების მამებმა ის გუნდიდან ამ 16 თვის წინ მოკვეთეს, რაკი კალიფანოს გულმა სამხრეთ ნახევარსფეროში, სამხრეთ აფრიკის კლუბში სათამაშოდ გაუწია. ახლა ის შეკრებაზე კი იყო გამოძახებული, მაგრამ არ ელოდა ასეთ დაწინაურებას. „შემადგენლობაში ჩემი გვარი რომ დაასახელეს, ისე ავღელდი, რომ მერე მთელი ღამე ვერ დავიძინე“ — ამბობს კალიფანო. „მის გარდა არავის მოსვლია ასეთი რამ, რაკი კრისტიანს დაწოლის წინ ბუცების გახდა დაავიწყდა“ — ხუმრობს რაფაელ იბანესი, ნაკრების ყოფილი კაპიტანი და შერკინებაში კალიფანოს გვერდშიმდგომი.

აღსანიშნავია, რომ კალიფანო შერკინებაში ინგლისელი ჯეისონ ლეონარის პირისპირ დადგება. ამ 34 წლის ძველი ბრიტანელი მეომრისთვის კი ეს თამაში მე-100 სანაკრებო იქნება.



ვინ გააჩერებს მრისხანე ინგლისელებს?

### შოტლანდია — ირლანდია
**გლაზგო, „მარიფილდი“. 16 თებერვალი**

სადღეისოდ ირლანდია ნამდვილად შოტლანდიაზე უკეთესი გუნდია, მაგრამ ეს არაა საკმარისი მიზეზი, „სამყურები“ წინასწარ მოგებულად გამოვაცხადოთ. ირლანდიელებს კელტ „ბიძაშვილებთან“ გლაზგოში აგერ, 18 წელია, არ მოუგიათ და ვერც შინ ყოჩაღობენ მაინცდამაინც, 1992 წლის შემდეგ მათთვის მხოლოდ ორჯერ უჯობნიათ შინაც და გარეთაც.

საამტროდ ირლანდიელებს არ ეყოლებათ მსოფლიო კლასის ვარსკვლავი, კვაჭი კიტ ვუდი. მის არყოფნაში მათ არანაკლებ განთქმული ჯეელი ბრაიან ოდრისკოლი (შუამარბი) უკაპიტნებთ.

### იტალია — უელსი
**ტრევიზო, „სტადიო ფლამინიო“ 15 თებერვალი**

იტალიელებს დიდი ფსიქოლოგიური წნეხი აწევთ. სამი წელია, ჩრდილო-დასავლეთი ევროპის ელიტარულმა სარაგბო თემმა ლათინელებს კარი გაუღო. იტალიელებმა მოიგეს პირველივე საექვსერო მატჩი, 2000 წელს შინ შოტლანდია დაჯაბნეს, მაგრამ იმის მერე აგერ, მიჯრით 14 თამაშია, არ მოუგიათ და ამის გამო ფრიადაც წუხან. ახლა გაჩნდა აზრი, რომ იტალიელებს შეუძლიათ ნავსიანი სერიის გატეხვა, უელსი ტრავმებმა დაასუსტა, აპენინელებს კი უკვე დაუგროვდათ გარკვეული გამოცდილება. დღეს ისინი თავს დააკლავენ ბრიტანელებს და გამარჯვების დიდი იმედიც აქვთ. მათ ახალზელანდიელ მწვრთნელს, ლეგენდარულ ჯონ კირვანს ყველაზე მეტად გარემარბ მაურო ბერგამასკოსი ეიმედება. ის მას იტალიელ ლომუდ მოიხსენიებს. იტალიელთათვის აგრეთვე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტომით არგენტინელი დამრტყმელის, 36 წლის დიეგო დომინგესის კარგ თამაშს.

**ირაკლი ფირაშვილი**

P.S. ცნობილმა ინგლისურმა საბუქმეიკერო კანტორამ „უილიამ ჰილმა“ ექვსივე ერის საჩემპიონო შანსები ასე შეაფასა:

| | |
|---|---|
| ინგლისი | 1-3 |
| საფრანგეთი | 11-4 |
| ირლანდია | 9-1 |
| უელსი | 50-1 |
| შოტლანდია | 66-1 |
| იტალია | 500-1 |



ირლანდიის მეტოქეთა მთავარი დამაქცევარი — ბრაიან ოდრისკოლი

## ერთა თასი 2003

# რუსეთმა ესპანეთს ომი გამოუცხადა

**ესპანეთი — რუსეთი**
მადრიდი. 16 თებერვალი

ხვალ მადრიდში დიდი ომი იქნება. გარდა იმისა, რომ სასწორზე 2 ქულა დევს, მეტოქეებს ერთმანეთთან სხვა ანგარიშიც აქვთ გასასწორებელი. უფრო ზუსტად, რუსები შურისძიებისთვის ემზადებიან.

გეხსომებათ, წლევანდელი მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში რუსეთმა ორმატჩა დუელი მოუგო ესპანეთს და შემდეგ ეტაპზე გავიდა, მაგრამ ესპანელებმა რაგბის საერთაშორისო საბჭოში (IRB) იჩივლეს, აქაოდა სლავებმა სამი სამხრეთაფრიკელი დაგვაჯახეს და ამათი რუსული წარმომავლობა საეჭვოაო. ვინძლო IRB-ის ესპანელთა საჩივარი გვერდზეც კი გადაედო, მაგრამ პირინეელებს ხომ IRB-ის აღმასკომში თავიანთი კაცი, ხოსე მარია ეპალსა უზით, რომელიც მსოფლიო რაგბის წონიანი, გაიძვერა და ჩალიჩა მოხელეა, თვისტომებსაც ეგ ხომ მფარველობს. ჰოდა, IRB-მ ესპანელებს კვერი დაუკრა, ნაღდად ეგრე ყოფილაო და რუსეთი მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიდან მოკვეთა. რუსეთის ადგილი კი ესპანეთმა დაიკავა. ცხადია, ამ ამბავში ეპალსას ხელი ურევია. რუსებმა აპელაცია შეიტანეს მაგრამ გუშინ საბოლოოდ უთხრეს უარი. რუსები იმუქრებიან, ესპანელებს საკადრის მივუზღავთ და მოედანზე ძვლებს დავამტვრევთო.

***ესპანეთი:*** *ხოსე იგნასიო საპატერო, ხავიერ სალასარი, ანტონიო ორტეგა, რობერ რიპოლი, დავიდ მონრეალი, სტივ ტუინიუ, სერხიო ხოუტო, იგნასიო დელ მაცა, მიგელ აბრილი, რამირო გარსია, ივან კრიადო, ალფონსო მატა, ანტონიო ბელტრანი, პაბლო ფეიხუ, ანდრეი კოვალენკო, ალვარო ენსისო, ფერნანდო დიესი, სებასტიან ლუბსენსი, მანუელ კასკარა, ხაიმე ნავა, ხორხე პრიეტო, ფერან ველასკო*

***რუსეთი:*** *ოლეგ შუკაილოვი, იგორ ნიკოლაიჩუკი, ვალერი ფედჩენკო, ალექსეი სარიჩევი, სერგეი ვასილევი, ვლადიმირ სიმონოვი, დენის აკულოვი, რომან რომაკი, პაველ ვალევი, ალექსეი რეჩნევი, ვიაჩესლავ ზიკოვი, ვიტალი ზვერი, ალექსეი კორობეინიკოვი, რომან შელეპკოვი, იგორ დიმჩენკო, ვიქტორ მოტორინი, ალექსეი სერგეევი, ანდრეი კუზინი, ალექსეი ტრავკინი, ალექსანდრ ხროკინი, ოლეგ ჟუკოვი, ალექსანდრ იანიუშკინი, სერგეი სერგეევი, კონსტანტინ რაჩკოვი, ვიაჩესლავ გრაჩოვი*


მტრები: რუსეთი — ესპანეთი

## ერთა თასის განრიგი

16 თებერვალი
ესპანეთი — რუსეთი
პორტუგალია — საქართველო

22 თებერვალი
საქართველო — ესპანეთი
რუმინეთი — პორტუგალია

8 მარტი
რუსეთი — საქართველო
ესპანეთი — რუმინეთი

9 მარტი
პორტუგალია — ჩეხეთი

22 მარტი
რუმინეთი — რუსეთი
ჩეხეთი — საქართველო

23 მარტი
პორტუგალია — ესპანეთი

29 მარტი
საქართველო — რუმინეთი
რუსეთი — პორტუგალია
ესპანეთი — ჩეხეთი

22 ივნისი
ჩეხეთი — რუმინეთი

24 მაისი
ჩეხეთი — რუსეთი


სოსო მაისურაძე


მამისტოლა წყალბურთელებთან მოთამაშე
მიხეილ ბალათურია, ზურაბ რურუა და ბექა ქენქაძე

# კარდაკარ სიარულში რუსებმა გვიგანეს და უკრაინელებმა შეგვიკედლეს



**დროდადრო,** როცა რუსეთის ახალგაზრდა თუ ჭაბუკ წყალბურთელთა პირველობაში მოასპარეზე თბილისის „ლაგუნა ვერეს“ წარმატებებზე გიამბობდით, იმასაც ვიუწყებოდით, რომ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთა გუნდების მწვრთნელებს დიდად აღარ ეპიტნავებოდათ ქართულთა იმათ შინაურ საქმეებში ჩარევა. კაცმა რომ თქვას, ჩვენი ბიჭების იქაურ პირველობაში მონაწილეობით რუსებიც მოგებულნი რჩებოდნენ და ქართველებიც, რაკილა ერთმანეთთან პაექრობით ორივენი უფრო ოსტატდებოდნენ და გამოცდილებასაც იღრმავებდნენ. ამასთან, ქართველებს რუსეთის პირველობებში, როგორც იქაური სპეციალისტები ამბობდნენ, თავისებური ეშხი, დაძაბულობა და ინტრიგა შეჰქონდათ, რითაც შეჯიბრს უფრო საინტერესოს ხდიდნენ. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ქართველებს რუსებში ინტრიგა პირდაპირი მნიშვნელობითაც შეუტანიათ.

— საქმე ის იყო, რომ რუსეთის პირველობაში გამარჯვებული და პრიზიორი გუნდებიც შესაბამისად ფინანსურად უფრო უზრუნველყოფილნი ხდებოდნენ — გვიამბობს „ლაგუნა ვერეს“ უფროსი მწვრთნელი სოსო მაისურაძე — შესაბამისად, იზრდებოდა მწვრთნელთა ანაზღაურებაც. ჩვენი წარმატებული გამოსვლისას კი იქაური გუნდები ზარალდებოდნენ. ამიტომ ზოგმა მწვრთნელმა ალმაცერად დაგვიწყო ცქერა და იმდენი ქნეს, რომ თავიანთი პირველობების მიღმა დაგვტოვეს. ამიტომ ახლა უკრაინის ჩემპიონატს მივადექით. უკრაინაში ჭაბუკთა და ახალგაზრდულ პირველობებში ჩვენს გამოსვლას აზრი არ ჰქონდა, რადგან თბილისელები მათზე მთელი თავით მაღლა დგანან. ამიტომ უფროსთა პირველობაში ჩავებით, სადაც შვიდი იქაური გუნდი გამოდის. უკვე ორი წრე ვითამაშეთ. პირველში დავმარცხდით მარიუპოლის „ილიჩოვეცის“ პირველ გუნდთან, რომელიც უკრაინის ჩემპიონია, ევროპის თასზეც გამოდის, ოსტატობას კი რუსეთის ჩემპიონატშიც იმაღლებს, სადაც ექვსეულშია დამკვიდრებული. უკრაინის ნაკრები სწორედ ამ გუნდის ბაზაზეა. პირველ წრეში დავმარცხდით ლვოვის „დინამოსთან“ და კიევის გუნდთანაც, სხვა შეხვედრებში კი ვძლიეთ ხარკოვის უმაღლესი დაოსტატების სპორტსკოლის გუნდს, სევასტოპოლის გუნდს, კრამატორსკის „ვიტიაზს“ და „ილიჩოვეცის“ მეორე გუნდს. მეორე წრეშიც ზუსტად ასევე დავასრულეთ შეხვედრები, ოღონდ წაგებულებთან ახლა უკვე მცირე ანგარიშით, ერთიორი ბურთის სხვაობით დავმარცხდით. სტაჟიან გულშემატკივრებს ეხსომებათ, რომ ამ გუნდებიდან ოთხი სხვადასხვა დროს საკავშირო ჩემპიონატების უმაღლესი ლიგის ბინადარი იყო. უკრაინაში ახლაც თამაშობს რამდენიმე ისეთი წყალბურთელი, რომლებიც 90-იან წლებამდე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში გამოდიოდნენ. მათ შორის არიან, მაგალითად, ლვოველი იგორ ზინკევიჩი და კიეველი ვადიმ სკურატოვი, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია. სხვათა შორის, სკურატოვს ვკითხე, ჩვენი დავით რურუასა და შოთა ბალათურიას წინააღმდეგ თამაშები თუ გახსოვს-მეთქი. აბა, მაგას რა დამავიწყებსო. ჰოდა, ახლა ზურაბ რურუა და მიხეილ ბალათურიაც რომ გეთამაშნენ, ესენი იმათი შვილები არიან-მეთქი. ამაზე ლამის გადაირია კაცი და თავში ხელები შემოირტყა.

როცა დავინტერესდით, თუ თავად შვილებს, მათ თანაგუნდელ ბექა ქენქაძეს და სხვებს რუსეთში ურჩევნიათ თამაში თუ უკრაინაში, აღმოჩნდა, რომ ამ კითხვაზე ერთი აზრი არ აქვთ. ნაწილი კვლავაც რუსეთის პირველობაში გამოსვლას ამჯობინებდა. მათი აზრით, იქ გამარჯვება სულ სხვა სტიმულია, თანაც ზოგადად ჩვენი მეზობლები უფრო მაღალი დონის წყალბურთს თამაშობენო. მეორე ნაწილი ფიქრობს, რომ უკრაინაში უფროსებთან პაექრობაში უფრო ოსტატდებიან და მეტ გამოცდილებას იძენენ.

მთელ ამ ისტორიაში სამწუხარო ისაა, რომ ჩვენს ჭაბუკ წყალბურთელებს შინ დასაოსტატებლად პირობები არა აქვთ. საქართველოს ან თუნდაც თბილისის პირველობას ვინ ჩივის, როცა „ლაგუნა ვერეს“ სპარინგპარტნიორად ერთ გუნდსაც ვერ უკოწიწებენ და ისევ ერთმანეთში თამაშობენ, თანაც არასტანდარტული ზომის აუზში, რადგან დიდში ზამთარში წყალი ხეირიანად ვერ თბება, პატარა თბილ ღია აუზში კი, თუ გვარიანად აცივდა, ისეთი ორთქლია, რომ წყალბურთელები ვეღარც ერთმანეთს ხედავენ, ვეღარც ბურთსა თუ კარს.

— მიუხედავად ამისა, როგორც ვნახეთ, ჩვენი ბიჭები რუს თანატოლებს ჯობნიან, უკრაინაში მოასპარეზე მამისტოლა კაცებთან კი თანაბრად იბრძვიან — გვიამბობს სოსო მაისურაძე — ჩვენს ჭაბუკ წყალბურთელებს თამაზ მანძულაშვილს, კოტე გეგელაშვილსა და ზურაბ ჭუმბურიძეს მოსკოველებმა დაადგეს თვალი. შარშან სექტემბერში პირველი ორი მოსკოვის „დინამოს“ მეორე გუნდში მიიწვიეს, ჭუმბურიძე კი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალურ სპორტკლუბში. ისინი მალე ალბათ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებენ. ეს გუნდები კი ყველაზე ტიტულოვანნი იყვნენ და არიან ევროპაში.

— თუ ამ სამ წყალბურთელს ჩვენს სხვა ლეგიონერებს, ახლა რუსეთში მოასპარეზე ზვიად დავითიანს, იტალიაში გადაბარგებულებს მეკარე ნიკა ასათიანსა და გალაქტიონ ლაითიძეს დავუმატებთ, ეროვნული ნაკრების ბირთვი გამოჩნდება — გვეუბნება საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის გენერალური მდივანი გივი ცქიტიშვილი — ყველა ლეგიონერს სურს საქართველოში და ჩვენს ნაკრებში თამაში, მაგრამ რომ ჩამოვიყვანოთ, ვინაა მათი პატრონი, გუნდის დამფინანსებელი, რომელიც ნაკრების სათანადო რაოდენობის შეკრებების, მგზავრობებისა და ტურნირებში მონაწილეობის ხარჯებს გაიღებს?!

ახლა ჩვენი წყალბურთელების შეჯიბრებებზე გასამგზავრებელ ხარჯებს მათივე მშობლები იხდიან, ზოგი პერსპექტიული ბავშვი უსახსრობის გამო შინ რჩება, მაგრამ ვინც ჯერ კიდევ არ აკლდება თანაგუნდელებს, მათი ჯიბე უძირო ხომ არაა?

ასეა თუ ისე, ჩვენი ჭაბუკები ახლა უკრაინის ჩემპიონატის მესამე წრისთვის ემზადებიან, რითაც უმთავრესი ტურნირის, 1985 წელს დაბადებულ წყალბურთელთა ევროპის პირველობის შესარჩევი შეჯიბრებისთვის იჭერენ თადარიგს. უკვე ხსენებული წყალბურთელების გარდა ესენი არიან: თორნიკე თოდაძე, გურამ კოტარია, გიორგი ხვედელიანი, ილია ბუტიკაშვილი, გივი კილურაძე, გიორგი ბიბილეიშვილი.

**ავთანდილ ჭყვიშელი**
**ბადრი ძეთილაძის ფოტოები**

## რეგულარული ჩემპიონატი

# სენატორები ბითუმად გაიყიდნენ

13 თებერვალი

**ოტავა 2:0 ედმონტონი** *0:0 1:0 1:0*
**1:0 პოსა (30), 2:0 არვედსონი (47)**

ოტავაში კვლავაც ყველაფერი რიგზეა, გუნდმა რა ტემპითაც დაიწყო, ისე აგრძელებს. ზედიზედ მეორე შატაუტის შემდეგ ოტაველთა მეკარე პატრიკ ლალიმს 7 „მშრალი“ თამაში დაუგროვდა და ამ მხრივ ლიგაში პირველია. მან თავისი პარტნიორები ერთხელ კიდევ დაარწმუნა, რომ მაღალი პოზიციებისათვის მებრძოლ გუნდში დღესდღეობით სწორედ მეკარეა გადამწყვეტი ძალა. მთავარი კი მაინც ის არის, რომ ოტავას ამჟამინდელმა მფლობელმა როდ ბრაიდერმა მთავარ კრედიტორებთან შეთანხმებას მიაღწია. ისინი „სენატორებს“ ხელახლა შეისყიდიან და გუნდს გაკოტრება აღარ დაემუქრება.

**დეტროიტი 4:2 ბუფალო** *1:0 2:1 1:1*
**1:0 ვუდი (13), 2:0 ფიოდოროვი (21), 3:0 ფიოდოროვი (25), 3:1 კონოლი (26), 4:1 ლარიონოვი (44), 4:2 ჰეშელი (46)**

**მონრეალი 1:2 კოლუმბუსი** *0:0 0:1 1:0 0:1*
**0:1 სენდერსონი (39), 1:1 მარკოვი (49), 1:2 შმაჩეკი (61)**

**ნეშვილი 2:0 აილენდერსი** *2:0 0:0 0:0*
**1:0 ორზაგი (3), 2:0 იუჰანსონი (9)**

**სენტ ლუისი 3:4 ფილადელფია**
*1:0 2:1 0:2 0:1*
**1:0 ბოგუნიცკი (12), 2:0 ხავანოვი (22), 3:0 ველანბი (24), 3:1 რაგნარსონი (32), 3:2 რენიკი (51), 3:3 იუნსონი (53), 3:4 ჰანდზუში (63)**

ფილადელფიელთა ორმატჩიან კოშმარს კინაღამ მესამე დაემატა. მინესოტასთან ზედიზედ ორი „მშრალი“ მარცხის შემდეგ ფილადელფიელებმა ამჯერადაც მატჩის ნახევარი უგოლოდ გალიეს, მაგრამ პირველი საპასუხო გოლის შემდეგ ისეთ იშტაზე მოვიდნენ, ბოლოს მოიგეს კიდეც. თავისი პირველი ქულა მიითვალა კაროლინადან გადასულმა სამი კაპანენმა, მან ჯერემი რენიკს უპასა.

**ვანკუვერი 2:1 კოლორადო** *0:0 0:1 1:0 1:0*
**0:1 ჰეიდუკი (20), 1:1 ბერტუცი (57), 2:1 მორისონი (62)**

კოლორადო წლეულს ზედიზედ მეცხრედ რომ გამხდარიყო დივიზიონის ჩემპიონი, ლიგის რეკორდს გამოჰკრავდა ხელს, მაგრამ, აქედანვე ეტყობა, საწადელს ვერ აისრულებს. ჩემპიონობა კი არა, კიდევ კარგი დენვერელები ცოტა აზრზე მოვიდნენ, თორემ ეგებ პლეი ოფიც მონატრებოდათ. ამ მატჩში ვანკუვერმა მეტოქეს დაანახა, რომ ხელისუფლების შეცვლის დრო მოვიდა და თავად უფრო მორჭმით გაბატონდა დივიზიონში. მიუხედავად კოლორადოელთა მეკარე პატრიკ რუას მორიგი ბრწყინვალე თამაშისა, ვანკუვერმა თავისი მაინც გაიტანა. ბრენტ სოპელის გამოზომილი პასის შემდეგ ბრენდან მორისონმა შაიბას ოსტატურად შეუცვალა მიმართულება და კოლორადოსთან თავისი გუნდის უპირატესობა 7 ქულამდე გაზარდა.

**ლოს ანჯელესი 4:2 კალგარი** *1:1 3:0 0:1*
**1:0 ჰეინზი (7), 1:1 იგინლა (14), 2:1 პალფი (32), 3:1 არმსტრონგი (34), 4:1 კორვო (39), 4:2 იგინლა (49)**


REUTERS

კალგარელმა ჯერომ იგინლამ „ლოს ანჯელესს“ ორი შაიბა შეუგდო



REUTERS

# მსოფლიო ფოტო

როტერდამში გამოცხადდა „წლის მსოფლიო საუკეთესო ფოტოს“ კონკურსის შედეგები. პირველი ადგილი უნგრელმა ბალეშ გარდიმ დაიკავა, რომელმაც ბუდაპეშტში ჩატარებულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატზე ორძელს ჩავლებული ხელი აღბეჭდა. მესამე პრიზი კი სოლტ ლეიკ სიტიში მოტრამპლინეთა მზადების ამსახველ ფოტოგრაფიას ხვდა წილად, მისი ავტორი ამერიკელი დევიდ ბარნეტი გახლავთ.



REUTERS



REUTERS

# თეთრი ეშვი

ძაღლშებმული მარხილების მსოფლიო ჩემპიონატი გახურებულა გერმანიაში, ბერნაუს ახლოს, შავი ტყის პირას. ალიასკური სამარხილე ძაღლები, რომლებიც თავის მარხილში შეუბამს ესპანელ მიგელ ანხელ მარტინესს, ყველაზე ამტან და გამძლე ძაღლებად არიან ცნობილი მსოფლიოში. ისე, თეთრი ეშვებიც ადგილზე აქვთ.

# არ სცხელა

აბა, წმინდა ვალენტინის დღეაო და გოგოსაც პლაკატი გაუმზადებია: კრის ნილ, თუ იქნები ჩემი ვალენტინი, ანუ მიჯნური. კრის ნილს კი ამ გოგოსთვის ნამდვილად არ სცხელა, „ოტავა სენატორზის“ ჰოკეისტი გახლავთ და ყინულზე ღვრის ოფლს.




REUTERS

# სენტ მორიცის სიხარული

განთქმულ შვეიცარიულ სამთო კურორტ სენტ მორიცში სამთოთხილამურობის მსოფლიო ჩემპიონატი გახურებულა და, რაღა თქმა უნდა, ბედი ცოტას უღიმის და ბევრს არა. სიხარულსაც ყველა თავისებურად გამოხატავს. შეჯიბრების გამარჯვებული შვედი ანია პაერსონი, მაგალითად, ასე გასრიალებულა.



REUTERS

## ფეხბურთი

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXI ტური

ლიუბეკი 2:0 ფრაიბურგი

ბრაუნშვაიგი 0:1 ზანკტ პაული

დუისბურგი 2:0 კარლსრუე

### ინგლისი

II დივიზიონი, XXXII ტური

კოლჩესტერი 1:0 მენსფილდი

### საფრანგეთი

მეორე დივიზიონი

გადადებული მატჩები

კლერმონი 1:0 ბოვე

ისტრი 0:0 სენტ ეტიენი

ლიგის თასი. 1/8 ფინალი

ბენიონი 3:2დ.დ.(2:2) ნანსი

### ჰოლანდია

პირველი დივიზიონი

XX ტური

როზენდალი 0:1 უტრეხტი

მეორე დივიზიონი

XX ტური

ვენლო 1:1 ემენი

დენ ბოსხი 3:0 ჰელმონდი

დორდრეხტი 1:2 ოსი

ეინდჰოვენი 1:0 კამბური

სიტარდი 0:3 ჰერაკლესი

ჰაარლემი 0:1 ვოლენდამი

მაასტრიხტი 1:2 ტელსტარი

ვეენდამი — იგლსი გადაიდო

### ამხანაგური მატჩი

მაკედონია 0:3 პოლონეთი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კახა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ღვაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge